# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 19 აგვისტო 1997 №96 (461) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენსაცია

## მარტო ჩვენ არ გვეშლება!

მომავალ ოთხშაბათს, ჩემპიონთა თასის საპასუხო მატჩში, საფრანგეთის ჩემპიონ „პარი სენ ჟერმენს" ოთხი უპასუხო გოლის გატანა სჭირდება ბუქარესტის „სტიაუას" კარში, რათა ლიგაში მოხვდეს. საოცარია, არა? პსჟ-ს ხომ 2:3 აქვს წაგებული პირველი მატჩი.

არა, 2:3 გაუქმდა. გახდა 0:3!

იმ მატჩში ლორან ფურნიემ 90 წუთი დაჰყო მოედანზე. არადა, თურმე ერთი წუთითაც არ უნდა გასულიყო სათამაშოდ. ვერ გეტყვით, რატომ დაავიწყდათ პარიზელებს, რომ ამ კაცს წინა სეზონში ორი გაფრთხილება ჰქონდა მიღებული და ამ სეზონის პირველი მატჩი უნდა გამოეტოვებინა, მაგრამ ფაქტი იმდენად აშკარაა, რომ ფრანგებს აპელაციის შეტანაც კი არ უფიქრიათ.

მაშ ასე — „პარი სენ ჟერმენი" ნოლიდან იწყებს: ერთის მაგივრად ოთხი გოლი სჭირდება ლიგაში მოსახვედრად და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ახალი მილიონების საშოვნელად.

რას იზამ — განაცხადა გუშინ კლუბის დირექტორმა კლოდ ლე როიმ.

თუმცა, ეტყობა, იმედი ამ კაცს ჯერ არ გადასწურვია — ფეხბურთელები მაინც ირწმუნებიან, რომ შემდეგ წრეში გავლენო — უთქვამს.

კლოდ ლე როიმ აღიარა, რომ უეფამ აგვისტოშივე გააფრთხილა კლუბი ლორან ფურნიეს დისკვალიფიკაციის შესახებ, მაგრამ — ასეთი რამ, როგორც ხედავთ, ჩვენსავით აწყობილ კლუბსაც კი შეიძლება გამორჩესო — დასძინა პარიზელთა დირექტორმა.





გუშინ ეროვნულზე: „დინამო" — „დილა".

ექს-ჩელსელი რატი ალექსიძე ცხადია, თავით ყველას ჯობნის, მაგრამ გოლები ჯერჯერობით ალექსანდრე იაშვილს გააქვს. გუშინ „იაშკამ" ჰეთ-თრიქი რომ გააკეთა, იქიდან პირველი „დინამოსთვის" სარეკორდო იყო — ჩემპიონის შემადგენლობაში ყველაზე მეტი, 80-80 გოლი, აქამდე მიხეილ ჯაველაშვილსა და იაშვილს გაეტანათ.

„იაშკამ" ახალი ზღუდე დააწესა: 83!

მატჩების რეპორტაჟები
იხილეთ მეორე გვერდზე

## 2 ტური

მაღაროელი 1:0 ბათუმი
სამგურალი 2:2 მარგვეთი
მორკინალი 1:1 მერანი
გურია 1:1 ტორპედო
მეტალურგი 0:2 თსუ
დინამო 4:0 დილა
სიონი 2:2 კოლხეთი
ლოკომოტივი 0:0 ოდიში

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| მერანი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:1 | 4 |
| ტორპედო | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ოდიში | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| მორკინალი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| მაღაროელი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ბათუმი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| დილა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| კოლხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| მარგვეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 4:6 | 1 |
| სამგურალი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| სიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| გურია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |
| მეტალურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

ბოლნისი
„თემურ სტეფანია"
18 აგვისტო

**სიონი 2:2 კოლხეთი**

**სიონი:** ჩლაიძე, ნიკლაური, ისიანი, ყიფშიძე, მ. სამხარაძე, ტრაპაიძე, ტარტარაშვილი, შაკიაშვილი, უკლება, ხოსროშვილი, მოსეშვილი
**კოლხეთი:** მ. გვასალია, ქუტიძე, კაკაჩია, გიორგაძე, ქუნთელია, ლალანიძე, ფანჩულიძე, ტორჩინავა, ვ. გვასალია, წივწივაძე, მ. ქობულაძე
0:1 წივწივაძე (37), 1:1 ისიანი (58), 1:2 ფანჩულიძე (61), 2:2 ჩლაიძე (85 პ)
**გაფრთხილება:** ხოსროშვილი, სამხარაძე, ვ. გვასალია
**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

## ბოლნისში ფეხბურთის ფედერაციას «ლოცავენ»

მამუკა კვანტალიანი ბოლნისიდან

შარშანდელ „სიონი" — „კოლხეთს" რა აჟიოტაჟიც მოჰყვა, ყველას კარგად ახსოვს. მაშინ ბევრის და მათ შორის ჩვენი პოზიცია ასეთი იყო — ბოლნისელები უსამართლოდ დაისაჯნენ. და აი, ერთი წლის მერე ფოთელები კვლავ ესტუმრნენ ბოლნისს. ბოლნისელებს სურდათ ყველასთვის დაემტკიცებინათ, რომ თავს ალარავის დააჩაგვრინებდნენ. ბოლნისელი მაყურებელი ხომ საერთოდ ცალკე თემაა. განსაკუთრებით აქტიურები და აგრესიულები იმ ადგილზე იკრიბებიან, სადაც დამარცვლით წერია — „აქ თამაშობს „სი-ო-ნი". ამათ ყოველი შეხვედრისას პოლიციელები განსაკუთრებულად მეთვალყურეობენ. ასე იყო ამჯერადაც, მაგრამ...

თამაში დაიწყო და ხალხს მსაჯი კვარაცხელია თვალში არ მოუვიდა — გუნდი მეგრული გვეთამაშება და მსაჯიც მეგრელი დაგვინიშნესო. ფეხბურთის ფედერაციის მოხელეებს იმ წუთიდან „ლოცვა-კურთხევა" არ მოკლებიათ — ეგენი მარტო ფულზე ფიქრობენ, ფეხბურთი ფეხზე ჰკიდიათო. ფედერაციაზე ასე გაგულისებულ-გაგიჟებული მაყურებელი სხვაგან არსად მინახავს.

პირველ ნახევარში „კოლხეთის" უპირატესობა აშკარა გახლდათ. სტუმრები მთელ მოედანზე პრესინგს თამაშობდნენ და ჩლაიძეც ბლომად დასეტყვეს. მეკარემ თითქმის ყველა მომენტში იყოჩაღა, მაგრამ ერთხელ ისიც ვერას გახდა: ქუნთელიას ჩაწოდებულს წივწივაძემ თავი შეაგება და ანგარიში გახსნა.

გოლის გასვლა და მაყურებელთა აბობოქრება ერთი იყო. მსაჯები მთლად აიკლეს, არადა, ჩემი აზრით, კვარაცხელიას არაფერი დაუშავებია, ხოლო თუ მის უმნიშვნელო შეცდომებს ჩავებიებით, ისინი ორივე მხარეზე თანაბრად მოდიოდა და მატჩის მსვლელობაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

მეორე ტაიმი სტუმრებმა დუნედ დაიწყეს, ბოლნისელებმა კი თავი გამოიდეს. ტრაპაიძე შეუჩერებელი შეიქნა. სწორედ მან გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაში ისიანი. თავდამსხმელი წამით კი შეყოვნდა, მაგრამ მერე ორ კოლხ მცველს აჯობა და გვასალიას მოჭრილი დარტყმით მარჯვენა კუთხეში გაუტანა.

„კოლხეთმა" მოძრაობას უმატა, არც „სიონი" ჩამორჩა. სტუმრებმა მასპინძელთა იერიში ჩაშალეს და კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ლალანიძემ ბურთი გაიგდო, შეჰყვა და საჯარიმოში ჩაჰკიდა. წივწივაძემ თაური დაარტყა, მაგრამ ჩლაიძემ სასწაულით მოიგერია, გადმოვარდნილს ქუტიძე ამატებს, ყიფშიძეს გამოაქვს, კიდევ იწილო-ბიწილო, დარტყმა — მოგერიება და საჯარიმოს მარჯვენა კუთხესთან ბურთი ფანჩულიძეს მისდის. გელა ურტყამს მაღალი, უცნაური ტრაექტორიით და გოლია. ბოლნისელები მთლად გადაირივნენ, მსაჯს ხელით თამაშის დაფიქსირებას სთხოვენ, მაგრამ კვარაცხელია შეუვალია.

მასპინძლებმა ბოლო ძალები მოიკრიბეს. ტრაპაიძე საჯარიმოსკენ მაღალს აგზავნის. ბურთისკენ უკლება და მეკარე გვასალია ერთად დაიძრნენ. თავდამსხმელმა მეკარეს დაასწრო და თავით კარისკენ დაარტყა. ბურთი ძელს ხვდება და კარის ხაზის მიმართულებით მიხტის, თავდამსხმელი და მცველი ერთმანეთში ირევა. ბოლნისელებმა ხელები კი აღმართეს, მაგრამ მანამდე ქობულაძემ ბურთი მოიგერია. გვერდით მსაჯ სამხარაძეს ალამი აღუმართავს. კვარაცხელიამ ჩასტვინა და თავისუფალი დარტყმა დანიშნა. ერთი სიტყვით, თამაშგარე დაფიქსირდა და... აირია მონასტერი — მაყურებელი მავთულხლართს მიაწყდა, ფეხბურთელები მსაჯს მისცვივდნენ.

კიდევ ცოტა ხანი არეულობაა, ხელების ქნევა და სამხარაძეს მარჯვენა ხელი მარჯვენა თვალზე აუფარებია... ტრიბუნიდან ბოთლები და ქვები მიფრინავს. მდგომარეობა გამოუვალი ჩანს, მაგრამ პოლიციამ იყოჩაღა. მსაჯები გასახდელში შეძვრნენ, ამათ კომისარი მელაშვილი იფარავს. ვილაცეებს შიგ შევარდნა სურთ, მაგრამ პოლიცია აქტიურობს. თამაში ოცი წუთით შეწყდა. რაღა დაგიმალოთ და, არაფრით ველოდი, თუ კვარაცხელია თავისი რაზმით ისევ უკან, მინდორზე შებრუნდებოდა. მსაჯები გამოვიდნენ, ოღონდ თანამსაჯი სამხარაძე სათადარიგო დარჩიამ შეცვალა. სამხარაძეს გვარიანი კოპი აზის.

თამაში განახლდა, მაგრამ ხალისი დაიკარგა. ფეხბურთელები კი ისე ბურთაობენ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო, ფოთელებს უფრო მრავლად, მაგრამ გოლი საკუთარ კარში მიიღეს: ტრაპაიძემ ისევ კარგად მოძებნა ისიანი, საჯარიმოში შევარდნილ თავდამსხმელს მცველი ბრძოლით მიჰყვება. ესენი ერთმანეთს შეეხნენ და თავდამსხმელი წაიქცა. კვარაცხელიამ პენალტი დადო, ჩლაიძემ კი კოლეგას აწყენინა.

თამაში დამთავრდა. მსაჯებს პოლიცია იცავს, მერე სტადიონიდან აცილებენ. წარმოიდგინეთ, ქალაქიდანაც კი. კარგია, ნამდვილად კარგი — ჩვენ გვიცავს ქართული პოლიცია, მაგრამ ქართულ ფეხბურთს ვინ დაიცავს?

ლანჩხუთი
„ევგრაფი შევარდნაძე"
18 აგვისტო

**გურია 1:1 ტორპედო**

**გურია:** გოგუა, ლურჯკაია, კ. კვეკვესკირი, კუკულაძე, ლორია, თიბილაშვილი, ქიქავა, განევი (თ. გოგიჩაიშვილი 89), ჩხეტია (პატარაია 66), ბერიძე (ლ. გაბუნია 83), გვარჯალაძე
**ტორპედო:** კიკალეიშვილი, ხვადაგიანი, თურმანიძე, შ. ხუჯაძე, ი. ხუჯაძე (მეგრელაძე 63), მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე, ქებაძე, გენაძე, შენგელია (ჩხეტიანი 73), ვაჩიბერაძე
1:0 ბერიძე (13), 1:1 მეგრელაძე (87)
**გაფრთხილება:** ბერიძე, პატარაია, ქიქავა
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

## ქულები — თანაბრად

იუზა კაციტაძე
ლანჩხუთიდან

გურულებმა თავიდანვე დაიბედეს და ჯერ კიდევ საკავშირო პირველი ლიგიდან მოყოლებული, შინ თუ სტუმრად, სისხლს უშრობენ „ტორპედოს". მართალია, ბოლო დროს ქუთათურებმა მათთვის ამ არასასიამოვნო ტრადიციის რღვევა იწყეს, მაგრამ ეს მხოლოდ საკუთარ კედლებში, ლანჩხუთში კი, გინდ ავად იყოს „გურია", გინდ კარგად, კვლავინდებურად ვერ ხეირობენ. ჰოდა, გუშინ „ტორპედოს" გურიაში გამარჯვების კარგი შესაძლებლობა ჰქონდა, რადგანაც ძალზე სასუსტებულ მეტოქეს უნდა შერკინებოდა. გავიხსენოთ — ჩემპიონატის სტარტზე გურულებმა სასტიკი მარცხი (0:5) იწვნიეს „მერანთან" სტუმრობისას, ტორპედოელებმა კი, მართალია შინ, მაგრამ დაუძაბავად სძლიეს (4:1) დებიუტანტ „ლოკომოტივს". ეს პირველ ტურში იყო. მას შემდეგ „გურია" ახალმა მწვრთნელმა ავთანდილ ნარიაშვილმა ჩაიბარა, თანაც ლანჩხუთელებს ახალი მოთამაშეების დამატებაც მოუსწრიათ — კოლხყოფილი მეკარე გოგუასი და დავით ჩხეტიასი.

გაგიგონიათ? უკვე მეხუთე ქალაქში შევესწარი მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის გახსნის ცერემონიას. აქაც თითქმის ყველაფერი ცნობილი სცენარით წარიმართა, ოღონდ ეს იყო, ჩვენი ქვეყნის ჰიმნი ვერ გავიდა ეთერში. მერე დიქტორმა გვამცნო, რომ სტადიონს ლანჩხუთის ფეხბურთის ფედერაციის უცვლელი თავმჯდომარის, „გურიის" დამაარსებლის ევგრაფი შევარდნაძის სახელი ეწოდა. გულშემატკივრებს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ანდრიაძემაც მიმართა. და კიდევ, სტადიონზე შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს „გურიის" ყოფილი მოთამაშის ნიკო ნიკოლაიშვილის ხსოვნას.

როგორც იქნა, თამაშიც დაიწყო. პირველი სახიფათო მომენტი კი მე-6 წუთზე შეიქმნა: გოგუა დაუდევრად გამოვიდა კვეტენაძის ჩამოწოდებულზე, მაგრამ ქებაძემ ვერ შეძლო მეკარის დასჯა. ორი წუთის შემდეგ უკვე შალვა ხუჯაძემ თავისსავე ნახევრიდან გრძელი პასით იგივე ქებაძე გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაზე, ქუთაისელი ფორვარდი გოგუასთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ვერც ამჯერად იხეირა — თორმეტიოდე მეტრიდან ააცილა. ვერ გაგაქვს — გაგიტანენო და მასპინძელთა პირველი (და როგორც აღმოჩნდა, უკანასკნელი შესვენებამდე დარჩენილ დროში) იერიში სტუმართა კარზე გოლით დასრულდა: განევმა მარცხენა ფლანგზე იაქტიურა და „ტორპედოს" საჯარიმოში ჩააწოდა. ქუთაისელ მცველთა პოზიციური შეცდომით კარგად ისარგებლა ბერიძემ, მეურვეებს დაუსხლტდა და მოხდენილი თაურით გაიტანა — კიკალეიშვილმა თვალებიღა გააყოლა ბურთს.

ამის შემდეგ უპირატესობას ტორპედოელები ფლობდნენ. ისინი მასპინძელთა ნახევარზე დასახლდნენ, მაგრამ რა, ბურთი ვერ გაჰქონდათ. 33-ე და 39-ე წუთებზე შენგელიას უნდა ესახელებია თავი, მაგრამ პირველ შემთხვევაში გიორგის ცაციათი დარტყმული ხარიხას გადასცდა, მეორედ კი გოგუამ იმარჯვა.

მასპინძლებს უკვე პირველი ტაიმის მიწურულს დაეტყოთ დაღლილობა და მეორეში რაღა იქნებოდა, მაგრამ თურმე არც სტუმრებს ჰქონიათ „ფიზიკაში" კარგად საქმე. შესვენების შემდეგ ტორპედოელებმა ტემპს ვეღარ უმატეს და მეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი დიდი ძალებით, მაგრამ უსუსურად უტევდნენ. მათ იერიშებს მხოლოდ მას შემდეგ დაეტყო სიმწვავე, რაც მოედანზე მეგრელაძე გამოვიდა. სწორედ მას უნდა უმადლოდნენ ტორპედოელები, ლანჩხუთიდან ქულის წაღება რომ შეძლეს.

თბილისი.
ეროვნული
18 აგვისტო

**დინამო 4:0 დილა**

**დინამო:** ქანტურია, ჩხაიძე (კვარაცხელია 75), ჯელაძე, დიდავა (დავითნიძე 46), ცქიტიშვილი, გუჩუა, კიკნაძე, ალექსიძე (ხუციშვილი 46), გოგობერიშვილი, მუჯირი
**დილა:** ილურიძე, ხ. გაგნიძე, ხაჭაპურიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ტაბატაძე, ჩიტაია, ჩალაძე (წკრიალაშვილი 46), მარღიშვილი (ჯალაბაძე 75), ციცქიშვილი, შატაკიშვილი (მარეხაშვილი 68)
1:0, 2:0, 3:0 იაშვილი (37, 51, 75), 4:0 კვარაცხელია (84)
**გაფრთხილება:** გუჩუა, დავითნიძე, შატაკიშვილი, ხაჭაპურიძე
**გაძევება:** ხაჭაპურიძე (41)
**მსაჯი:** ს. შალამბერიძე (თბილისი)

მამუკა კვარაცხელია

## სად ვართ, რა გვინდა...

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი სამარცხვინოდ აგებს მატჩს ლევერკუზენში და ორიოდ დღეში გაახალგაზრდავებული შემადგენლობით, ოფლის გამოუდენლად, ფაქტობრივად სიარულით უგებს ჩემპიონატის საშუალო გუნდს. ჩვენი ჩემპიონატი, თამამად შეიძლება ითქვას, საბჭოურ პერიოდში რომ პროფკავშირის თუ „თავთავის" რესპუბლიკური პირველობა ტარდებოდა, აი, იმის დონეზეა დასული და სანამ ამ მდგომარეობაში ვიქნებით, სულაც არ არის გასაკვირი ერთით-ექვსები.

ამ მატჩშიც, რომელზეც „დინამო" ნოდარ აკობიამ გამოიყვანა, ყველანი „იდგნენ", მასპინლებიც და სტუმრებიც და ვიმეორებ, დინამოელებმა ისე გაანადგურეს „დილა", ოფლი არ გამოსვლიათ. მუჯირის სამი პასი იაშვილმა სამჯერვე გოლად გარდასახა, მეოთხე კი შეცვლაზე თხუთმეტიოდე წუთით შესულმა კვარაცხელიამ მესამე ცდაზე შეაგდო: გივის ჯერ შორეული დარტყმა გაუცუდდა, მერე თაური გადააცილა ხარიხას და ბოლოს იაშკას პასი ჩაწოდილმა შეაძვრინა კარში.

გარდა ხუციშვილისა, კიდევ ერთი დებიუტი შედგა — 28 წლის დავით პეტრიაშვილი პირველად კომისრობდა პირველი ჯგუფის მატჩს...

# პრეზიდენტი ქინქლაძე მოგებას ითხოვდა

**თბილისი „26 მაისი“ 16 აგვისტო**

**ლოკომოტივი 0:0 ოდიში**

**ლოკომოტივი:** ვოლკოვი, დაუშვილი, დიმიტრიშვილი, ბარნოვი, ბაქრაძე, ახალაძე, გ. კვეტენაძე, ერაძე, გვაზავა (ვასაძე 73), მაზანიშვილი (ენუქიძე 67), მესხიძე (მიზანდარი 46)
**ოდიში:** სოლოლაშვილი, აბვლედიანი, ლურსმანაშვილი, თოლორდავა (ტყემალაძე 90), ზ. ლაცაბიძე, ებრალიძე, რევაზიშვილი, ენდელაძე, კაიდარაშვილი, ნიტაიშვილი, კალანდაძე
**გაფრთხილება:** ნიტაიშვილი, რევაზიშვილი, კვეტენაძე, ერაძე
**მსაჯი:** თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**მამუკა კვანტალიანი**

ვაკეში ნასტუმრები მეგრელების სანახავად ფეხბურთის ბევრი სპეციალისტი შეიკრიბა. მათ, ბუნებრივია, განახლებული „ოდიშის“ ხილვა სურდათ, თანაც საქმე წინ წაიგდეს და ხუთი თბილისური გუნდიდან ოთხის ხელმძღვანელებმა მომავალი მეტოქეც დაზვერეს. რაც შეეხება მეხუთეს, „ლოკომოტივს“, მას უშუალოდ საქმეში უნდა გამოეცადა ზუგდიდელები. ისე, წლევანდელი „ოდიში“ მხოლოდ პირობითად თუა მეგრული — მეგრელი აქ სამი მოთამაშეა, დანარჩენები კი გურულ-იმერელ-ქართლელები არიან და მთლიანობაში პერსპექტიული, კარგი მომავლის მქონე, ნაღდი ქართული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ცნობილ ოდიშურ სტილს ჩასულებმა თავ-თავიანთი კუთხის საუკეთესო თვისებები მიუმატეს და თუ ასე გაგრძელდა, ესენი ბევრს აუგებენ წესს. ერთადერთი, რაც ახალ „ოდიშს“ აკლია, კარგი გამთამაშებელია, თამაშის გამძღოლს, გნებავთ, დირიჟორს რომ უწოდებენ. ასეთი ამპლუის ფეხბურთელი ზუგდიდელებს ამჟამად არ ჰყავთ და ამიტომაცაა, რომ უკანა და წინა ხაზებს შორის არსებული დისბალანსის ამოვსება მეტად ძნელი ხდება.

რაც შეეხებათ მასპინძლებს, ამათი ტრადიციული თავსატეხი მცველების და ნახევარმცველების მიერ შექმნილი საგოლე მომენტების მცირედ გამოყენება გახლავთ. ასე იყო წინა სეზონში, როცა „ლოკომოტივი“ მეორე ჯგუფში გამოდიოდა და ასეა ახლაც. თუმცა ეს პრობლემა ოდენ „ლოკომოტივისა“ კი არა, მთლიანად ქართული ფეხბურთის დაუძლეველი ზღუდე გახლავთ.



თბილისელი მიზანდარი ლურსმანაშვილს დახტომია

თავიდან მასპინძლებმა შეუტიეს და ხელსაყრელი მომენტებიც შექმნეს, მაგრამ ხან შემტევნი სცოდავდნენ, ხანაც ოდიშელთა გორელი მეკარე ყოჩაღობდა. ეტყობა, შუმახერა თანდათან იბრუნებს ჩვეულ ფორმას. ეს მატჩი ორი მეკარის დუელადაც შეიძლება მოინათლოს. ორივე, სტუმარიც და მასპინძელიც კარგები იყვნენ და ალალიც იყო, ამათი დუელი ყაიმით რომ დამთავრდა.

მასპინძელთა შეტევებს სტუმრები უცნაურად მშვიდად შეხვდნენ. ცოტა გასაკვირიც იყო ახალგაზრდა ფეხბურთელების ასეთი თავდაჯერებული თამაში. მერე სტუმრებმაც ხელი გამოიღეს და თბილისელები გვარიანად ანერვიულეს. განსაკუთრებით მათი პრეზიდენტი, უფროსი ქინქლაძე, რომელსაც თამაშის მერე თავისიანებთან შელაპარაკებაც კი მოუხდა. პრეზიდენტი უკმაყოფილო იყო, პრეზიდენტი მოგებას ითხოვდა.

ამ მატჩში ყველაზე ხელსაყრელი მომენტი მასპინძელთა მცველ დაუშვილს ჰქონდა, მაგრამ იმ დღეს ყველაზე აქტიურმა არასწორად დაარტყა.

იყო ეპიზოდები, როცა გუნდებმა საცქერლად საინტერესო, წელგამართული თამაში გვიჩვენეს — ბრძოლა, ბურთის კოლექტიური ართმევის მცდელობა და სხვა მისთანები. იყო სასიამოვნო სიახლეც: „ოდიშმა“ სამი თავდამსხმელით ითამაშა, თანაც სტუმრად, რაც ბოლო ხანს ქართველი მწვრთნელებისთვის მიუღებელი გახლავთ.

სხვას ვერაფერს გეტყვით, საყაიმო მატჩი იყო და ასეც მორჩა.

# აღმავლობა?! ანუ გადაღება აკრძალულია

**თბილისი „შევარდენი“ 17 აგვისტო**

**მორკინალი 1:1 მერანი**

**მორკინალი:** გუგუნავა, ცომაია, კველიშვილი, ი. ფაშაკიძე, ასპინძელაშვილი, აბაზაძე, პეტრიაშვილი, მაისურაძე (კაჭარავა 83), კაპანაძე, ჭუმბურიძე (ლაპიაშვილი 75), გოჩაშვილი (დვალიშვილი 65)
**მერანი:** ნაჭყებია, ივანიშვილი, გოგიტიძე, ჯიშკარიანი, კაკუბავა, ქორიძე, ბ. კვარაცხელია, ცქიფურიშვილი, გაბისონია (ინიაშვილი 85), გოდერძიშვილი, დავითაშვილი
1:0 პეტრიაშვილი (60), 1:1 დავითაშვილი (65)
**გაფრთხილება:** აბაზაძე, ცქიფურიშვილი, კაკუბავა, კველიშვილი
**გაძევება:** კველიშვილი
**მსაჯი:** მ. მალალურაძე (თბილისი)

**მამუკა კვანტალიანი**

ასეთი თამაშები ღმერთმა გვიმრავლოს! სტუმარ-მასპინძელი ნამდვილად იმსახურებდა ქებას. მეტოქენი ტოლ-სწორნი იყვნენ და ერთმანეთს მოსისხლე მტრებივითაც ეკვეთნენ. განსაკუთრებით პირველმა ტაიმმა მოხიბლა მაყურებელი. მაღალი ტემპი, ბრძოლა მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე... მალალურაძემ გუნდებს თავიდანვე აუღო ალღო და ხისტი თამაშის უფლება მისცა, იგი ჩვენებური მსაჯობისთვის უჩვეულოდ, ახლებურად გაირჯა. მალალურაძეს ყოველ მიკარებაზე რომ დაესტვინა, მინდორზე არც ერთი ფეხბურთელი არ დარჩებოდა და არც მაყურებელი წავიდოდა სტადიონიდან ასე კმაყოფილი. ჩვენი ფეხბურთი კიდევ ცოცხლობსო, იძახდნენ გახარებულები. რა ცოტა ყოფნის გულშემატკივარს!

მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან შეუტიეს და ერთი თავდამსხმელით მოთამაშე „მორკინალი“ პირველივე ტაიმში იმსახურებდა დაწინაურებას. წინწაწეულ პეტრიაშვილს გაძლიერებული შუა ხაზი აქტიურად ეხმარებოდა. მომენტებიც შექმნეს, მაგრამ პეტრიაშვილის სამჯერ დარტყმულს სამჯერვე კაცურად დაუხვდა ნაჭყებია. „მორკინალი“ სტუმრების მოხრჩობას მათივე ნახევარზე ცდილობდა და ამისთვის ყველა საფეხბურთო ხერხი გამოიყენა. არსად, არცერთ მატჩში, ჩვენი ჩემპიონატის ეგიდით რომ ჩატარებულა, არ მინახავს ამდენი სწორად შესრულებული ფეხებში ვარდნა.

ტაიმის კულმინაციური მომენტი მაინც სტუმართა კართან შეიქმნა: ჭუმბურიძემ პეტრიაშვილი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ მომხდურს ისევ მეკარემ აჯობა.

ამათ ვალში არც „მერანი“ დარჩენია. მართალია, ჯანელიძის მიერ მინდორზე გაშვებულმა სამმა თავდამსხმელმა — დავითაშვილმა, გაბისონიამ და გოდერძიშვილმა თავიდან თამაში ვერ ააწყეს, მაგრამ ერთი-ორჯერ სახიფათოდ შეუტიეს მასპინძლებს. ამათგან გაბისონია გამოირჩეოდა და ბლომადაც მოხვდა კოჭებში.

მეორე ტაიმიც იგივე სცენარით წარიმართა. „მორკინალი“ უტევდა, „მერანი“ კონტრიერიშებით პასუხობდა. მე-60 წუთი იყო. მაისურაძე — ჭუმბურიძის გათამაშებული ბურთი პეტრიაშვილისკენ გადავარდა. ამან ბრძოლაში ჯიშკარიანს ბურთი წაართვა და საჯარიმოში შევარდნილმა მეკარეც გაამწარა. გაშვებული გოლის მერე „მერანი“ გააფრდა. სტუმრების შეტევები უფრო დალაგებული და გააზრებული გახდა, გაბისონია კი მეტად სახიფათო. მისი თაური კარს მცირედით ასცდა, ხოლო წუთის მერე მცველებს მაინც დაუსხლტა და ბრძოლაში აბრეზას მიაწოდა, მან კი ბურთს სტუმართათვის სასურველი ადგილი მოუძებნა. ანგარიშის გაყაიმებამ ორივე გუნდის ვნებები დააცხრო და გუნდებმა თამაშის გამწვავებისგან თავი შეიკავეს. მასპინძლები კაცნაკლულები დარჩნენ — მათი კაპიტანი დათო კველიშვილი ორი გაფრთხილების გამო მალალურაძემ სათადარიგოთა სკამზე ნაადრევად დასვა. მოკლედ, გუგუშვილ — ჯანელიძის პირველი დუელი ყაიმით დასრულდა. ვნახოთ, რა მოხდება „სინათლეზე“.

ზემოთ მოგახსენეთ, თამაშმა ძლიერ გვასიამოვნაო, მაგრამ ერთი უსიამოვნება მაინც მოხდა, ოღონდ თამაშის დაწყებამდე. მატჩი ის-ის იყო იწყებოდა, როცა მინდვრის კიდეზე მდგარ ფოტორეპორტიორებს ადგილის დატოვება და შემოღობილს გარეთ გადასვლა უბრძანეს. მინდორი და მავთულხლართი ისე ახლოა ერთმანეთთან, შეიძლება მარცხი მოგივიდეთ და ესეც ჩვენი გადასახდელი გახდებაო, უთხრა მათ ფედერაციის წარმომადგენელმა, რომლის ნათქვამსაც სტადიონზე მყოფმა ფედერაციის ხელმძღვანელებმაც დაუჭირეს მხარი. ფოტორეპორტიორები გაწიწმატდნენ, მაგრამ საშველი აღარ იყო, იქაურობა დატოვეს. გულმოსულებმა მავთულებიდან ერთი-ორი ჩააჩხაკუნეს და საქმეს თავი ანებეს — მაინც არაფერი გამოვაო. მსგავსი ადრეც მოხდა, მაშინ „სინათლის“ სტადიონი იყო ვიწრო. მაშ რა ქნან ფოტორეპორტიორებმა, არ გადაიღონ?

კარგია, როცა ფედერაცია ჩვენზე და ჩვენისთანების უსაფრთხოებაზე ზრუნავს, მაგრამ მუშაობაშიც რომ ხელს გვიშლიან? რა ვქნათ, სტადიონია ასეთიო. ჩვენ რაღა ვქნათ, მივატოვოთ მუშაობა? მაშინ ვინღა დაწეროს, ვინღა გადაიღოს, და საერთოდ, ვისღა გაახსენდება ჩვენი დაქცეული ჩემპიონატი?

# „სამგურალი“ გადამწვარა...

**წყალტუბო „26 მაისი“ 17 აგვისტო**

**სამგურალი 2:2 მარგვეთი**

**სამგურალი:** ნიშნიანიძე (თევზაძე 58), ლ. ქობულაძე (მახვილაძე 46), ფაშაკიძე, კოლუაშვილი, ი. ხაჭაპურიძე, ფესტვენიძე, ფრანგიშვილი, დარსაძე, დ. ჯანელიძე, გ. ჯანელიძე, ჯანაშია (ხურცილავა 60)
**მარგვეთი:** მერკვილიშვილი (ნიქაბერიძე 71), ბიწაძე, მელუა, მორალიშვილი, ფოფხაძე, კაციაშვილი, მალალურაძე, სულაკაძე (მაჭავარიანი 60)[?], ზაქარეიშვილი, ტოკლიკაშვილი (გოგაძე 77), ხეტეშვილი
1:0 ფრანგიშვილი (22), 2:0 დ. ჯანელიძე (34), 2:1 სულაკაძე (35), 2:2 კაციაშვილი (51)
**გაფრთხილება:** ფესტვენიძე, მორალიშვილი, მალალურაძე, ფოფხაძე
**მსაჯი:** ს. კახიანი (თბილისი)

**იუზა კაციტაძე**
**წყალტუბოდან**

„სამგურალის“ სეზონისწინა თამაშები საკუთარი თვალით რომ არ მენახა, სხვის ნათქვამს არც დავიჯერებდი. დიახ, წყალტუბოელები მართლაც კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. რვა საკონტროლო მატჩში მხოლოდ ერთხელ წაიფორხილეს და ისიც „ტორპედოსთან“. მაშინ „მარგვეთს“ ისინი იმდენად სჯობდნენ, ძნელი წარმოსადგენიც კი იყო, თუ ოც დღეში იმავე მეტოქესთან რაიმე პრობლემას წააწყდებოდნენ. არადა, სწორედ ასე მოხდა. თუმცა, მოდით, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ.

მასპინძლებმა თავიდანვე ტაქტიკური სიახლე შემოგვთავაზეს. ლიბერო გივი ჯანელიძეს, სხვა ამპლუაში მოთამაშე აქამდე რომ არ გვინახავს, წინ, მისსავე მოგვარე დიმიტრის გვერდით მიუჩინეს ადგილი. არ ვიცი, რა სარგებელი მოუტანა გადანაცვლებამ „სამგურალს“, იმას თქმა კი შემიძლია, ამ სიურპრიზმა ზესტაფონელ ფეხბურთელებზე მეტად წყალტუბოელთა ქომაგები უფრო გააკვირვა და დააბნია.

სტუმრები მედგრად დაუდგნენ მეტოქეს და გასაქანი არ მისცეს, თუმცა პირველ ტაიმში წყალტუბოელებმა მაინც მოახერხეს მარგველთა კარის დალაშქვრა, თანაც ორჯერ. ჯერ იყო და, დიმიტრი ჯანელიძემ საჯარიმოს წინა ხაზიდან სახიფათოდ რომ დაარტყა, კაციაშვილი თავგანწირვით გადაეღობა ბურთს, მაგრამ ფრანგიშვილმა სხვებზე ადრე მიუსწრო გადმოვარდნილს და უმალ კარში გაგზავნა. მერე ზესტაფონელთა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, მცველებიც დაიბნენ, მეკარეც და ამით კარგად ისარგებლა დიმიტრი ჯანელიძემ...

გასაოცარია, მაგრამ მეორე გოლმა ზესტაფონელებზე დოპინგივით იმოქმედა. წუთიც არ იყო გასული, რომ ხეტეშვილი სწრაფად გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე და მასპინძელთა საჯარიმოში ჩააწოდა. იქ სულაკაძე იყო უმეთვალყუროდ და ანგარიშში სხვაობის შემცირება არ გასჭირვებია. 38-ე წუთზე ისევ სტუმრებმა შეუტიეს. კაციაშვილმა 20 მეტრიდან შეამოწმა ნიშნიანიძის მზადყოფნა. მეკარე ბურთზე კი გადახტა, მაგრამ უხერხულად მოიგერია. წყალტუბოელთა იღბალი, რომ ყველაფერი მხოლოდ კუთხურით დამთავრდა.

ეტყობა, კაციაშვილმა კარგად დაიმახსოვრა ეს ეპიზოდი. მეორე ტაიმში, მარგველთა ერთი იერიშისას ბურთს ფოფხაძე ფლობდა. [illegible] დროს [illegible] ცენტრში მდგარი კაციაშვილი ადგილს მოსწყდა და წინ გაიჭრა, პარტნიორმა ბურთი კარგად [illegible]ნა“ და სტუმართა ექვსიანმა ამჯერად უფრო შორიდან, ასე, 25-27 მეტრიდან დაარტყა და... ნიშნიანიძე პირშიჩალაგამოვლებული დატოვა. მალე გივი ბაბუნიძემ მეკარე გამოცვალა, მაგრამ გვიანღა იყო. თუმცა დანამდვილებით იმასაც ვერავინ იტყვის, სათადარიგო გოლკიპერი ძირითადზე უკეთ თუ გაერკვეოდა იმ ორ საბედისწერო ეპიზოდში.

59-ე წუთზე მასპინძლებმა მესამე ბურთის გატანის ნაღდი მომენტი გაუშვეს ხელიდან: დიმიტრი ჯანელიძემ კარგად შეურჩია ადგილი ფრანგიშვილის ჩაწოდებულს, მაგრამ მიზანს ააცილა. რომ ვერ იხეირეს, წყალტუბოელებმა წინა ხაზის გაძლიერება სცადეს, დაპროგრამებულივით მხოლოდ ნახევარდაცვაში მოთამაშე ჯანაშიას (კიდევ ერთი სიურპრიზი) ნაცვლად შესულმა ხურცილავამ მეტი სიმწვავე შემატა „სამგურალის“ იერიშს. ეს კი არა, ორჯერ კიდევაც უნდა გაეტანა, მაგრამ არ გაუმართლა. უკანასკნელ წუთებში მარგველებს დიდი ჯაფა ადგათ, თუმცა ნიქაბერიძემ (რომელმაც დაშავებული მერკვილიშვილი შეცვალა) და კომპანიამ წყალტუბოელები მაინც ფრეს დააჯერეს.

„მარგვეთის“ მწვრთნელი ზაურ ჩუბინიძე: შედეგით კმაყოფილი ვარ, თამაშის ხარისხით კი არა, თუმცა ბიჭებს მაინც ვერ დავემდურები — ბოლომდე იბრძოლეს. შეთამაშება გვაკლია, გამოცდილებაც. თუ ხელშეწყობა გვექნა, ამ ბიჭებით თავს არ შევირცხვენთ.

# თსუ აღარ ხუმრობს

**რუსთავი „ფოლადი“ 18 აგვისტო**

**მეტალურგი 0:2 თსუ**

**მეტალურგი:** მ. ქორიძე, ფაცურია (მ. სახვაძე 76), გურიელიძე, გაბრიჭიძე, გაბელაია, პატარიძე, მელაძე (ლაბაძე 67), არსოშვილი, ა. შეყილაძე (მინდიაშვილი 46), გოგოლაძე, კ. ალადაშვილი
**თსუ:** დოლიძე, ყოლბაია (გაგუა 65), ვერემჩუკი, გ. ქორიძე (ჩიგოშვილი 80), კანკავა, შალამბერიძე, ჩომახიძე, კობესაშვილი (ა. სახვაძე 77), რუსია, მელქაძე, როსტიაშვილი
0:1 ჩომახიძე (23), 0:2 ყოლბაია (44)
**გაფრთხილება:** ფაცურია, მ. ქორიძე, გაბრიჭიძე
**მსაჯი:** ე. სილაგავა (თბილისი)

**კობა ინასარიძე**
**რუსთავიდან**

პირველი მოულოდნელობა რუსთაველთა რიგებში საბერძნეთიდან დაბრუნებული კახა ალადაშვილის გამოჩენა იყო. როგორც მამამისმა — იასონ ალადაშვილმა თქვა, თურმე კახა „მეტალურგში“ სამ თვეს გაჩერდება, შემდეგ კი ან „სკონტოში“, ანაც ისევ საბერძნეთში გააგრძელებს თამაშს. მეორე მოულოდნელობა გასული სეზონის მაჩანჩალა თსუ-ს აზრიანი თამაში გახლდათ — ამათთვის ახალ მწვრთნელს ხელი დაუტყვია.

სტუმრებმა საკუთარი კარის მისადგომები საიმედოდ ჩაკეტეს, ყოველი ძესაძლებლობისთახავე კი სწრაფად უტევდნენ მასპინძლებს, რომელთა დაცვაც ისეთი დაჩაჩანაკებული ჩანდა, ხუთი-ექვსი ბურთი კიდევ რომ არ გაუშვეს, მიკვირს. თუმცა, ხან მამუკა ქორიძე ახდენდა სასწაულებს, ხანაც თსუს თავდამსხმელები. მოკლედ, „მეტალურგს“ მართლაც არაფერი ეშველა, ამიტომაც მათ თამაშზე ლაპარაკი ზედმეტია. ძალიანაც რომ უნდოდეს კაცს მეტალურგთა ქება, ამას მაინც ვერ მოახერხებს, თუნდაც იმისთვის, რომ გუბაზ დოლიძე მხოლოდ ორჯერ შეაწუხეს ხეირიანად, მაგრამ უშედეგოდ. თბილისელები კი, როგორც გითხარით, ჭკვიანურად თამაშობდნენ, ერთიმეორეს საიმედოდ აზღვევდნენ, მოედნის ცენტრში მოპოვებულმა უპირატესობამ ხომ ბევრად განაპირობა მატჩის ბედი — თსუ-ს მეორე, ამჯერად უფრო დამაჯერებელი მოგება.

პირველად თბილისელებმა 23-ე წუთზე შეაგდეს: რუსთაველი მცველების მორიგი უყურადღებობა კარგად გამოიყენა რუსიამ, რომელმაც გრძელი პასით ქორიძესთან პირისპირ გაიყვანა ჩომახიძე. ამახაც არ დააყოვნა და საჯარიმოს კუთხიდან შეაგდო. მეორედ უკვე ჩომახიძემ გაუწია ასისტენტობა ყოლბაიას, რომელმაც ნახევარი მინდორი ბურთიანად გაირბინა, საჯარიმოს სიახლოვეს ლამაზი კედელი გაითამაშა ექსსამტრედიელთან, ბურთი მკერდით ჩამოიღო და მცველებს ზურგს უკან მოექცა, აქედან გოლის გატანა კი სირთულეს აღარ წარმოადგენდა. ეს ყველაფერი პირველ ტაიმში მოხდა. ელგუჯა სილაგავამაც პირველ ნახევარში ჩამოურიგა ყვითლები მასპინძლებს, რომლებიც შესვენების შემდეგ ცოტა თავდაჭერილად იქცეოდნენ. თანაც კი უტევდნენ, მაგრამ კარისკენ არ ურტყამდნენ.

თსუ-მ ისევე დაამთავრა მატჩი, როგორც დაიწყო: გონივრულად იცავდა თავს, სწრაფი რუსიას მეშვეობით სწრაფადვე უტევდა და შედეგად მორიგი სამი ქულა მოიპოვა.

# აუ, რამდენი ქალია

**ჭიათურა ცენტრალური 18 აგვისტო**

**მაღაროელი 1:0 ბათუმი**

**მაღაროელი:** გველესიანი, ჩიკვილიძე (ქაშაკაშვილი 25), იობაშვილი, ახანიძე, მ. გაბრიჭიძე, აბრამიშვილი, შველაშვილი, ბუიშვილი (ჯ. სამხარაძე 90), თ. სამხარაძე, კავთელაძე, მწყერაშვილი (ტეფნაძე 13)
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ლლონტი, მაქაცარია (აფხაზავა 65), ჩუხუა, სოლოღაშვილი
1:0 მ. მახარაძე (36 საკ. კარში)
**გაფრთხილება:** იობაშვილი
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**ბესიკ ჯანგავაძე**
**ჭიათურიდან**

უცხო თვალისთვის ჭიათურის ცენტრალურ სტადიონზე ბევრი რამ იყო უჩვეულო. უპირველესად, მატჩის სანახავად მოსული, ჩვეულებრივზე მეტი მაყურებელი, მათ შორის კი სუსტი სქესის წარმომადგენელთა სიმრავლე. თავად ზემოიმერელთათვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და სწორედ ამიტომაა, რომ ჭიათურის სტადიონი ალბათ ყველაზე კულტურულია მთელს საქართველოში.

სტადიონზე შეკრებილ ლამაზმანებზე თვალის მოწყვეტა მხოლოდ მინდორზე გაჩაღებულმა არანაკლებ ლამაზმა სანახაობამ მაიძულა, რომელიც, დამეთანხმებით, საკმაოდ მოულოდნელი ანგარიშით დამთავრდა.

არადა, არც მატჩის დასაწყისი და არც მთლიანად მატჩი არავითარ სასწაულს არ გვიქადდა. სტუმრები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ ინიციატივას, რაც, რა თქმა უნდა, გასაკვირი არ არის: მასპინძელთა გუნდი ხომ ზედ ჩემპიონატის დაწყების წინ შეიკრიბა და აშკარად ეტყობათ, რომ მოუმზადებელნი არიან. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დიდი თავდადებით ითამაშეს თუ იბრძოლეს და ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს მრისხანე მეტოქეს, რომელსაც უკვე მე-5 წუთზე ჰქონდა ანგარიშის გახსნის რეალურზე რეალური შანსი, როდესაც მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოში შეჭრილმა, თითქმის მეკარესთან პირისპირ გასულმა ლლონტმა ოდნავ ააცილა კარს. მოკლე ხანში თითქმის იგივე კომბინაცია იგივე შედეგით დამთავრდა. მართალია, ბათუმელები მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ, და ისიც უფრო მდიდარი ტექნიკური არსენალის ხარჯზე, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და ის, რაც ვერ დამართეს ჭიათურელთა კარს, მშვენივრად მოახერხეს საკუთარის მიმართ: სრულიად უხიფათო სიტუაციაში მალხაზ მახარაძემ უკან, მეკარეს დაუგორა ბურთი, რომელიც ტოგონიძეს მის შესაჩერებლად აწეული ფეხის ქვეშ გაუძვრა და კარში შეგორდა.

მეორე ნახევარში ბათუმელები მასირებულ შტურმზე გადავიდნენ. მასპინძლები თავგანწირვით იცავდნენ თავს, მალხაზ მახარაძემაც ორჯერ სცადა რეაბილიტაცია, მაგრამ უშედეგოდ.

# შორია ერევნიდან სევანამდე?

## ანდრიასიანს ქართველი ქალები მოსწონებია

ოთხშაბათს საღამოს, თბილისში გამოსაგზავნ წერილს რომ მოვრჩი, სასტუმრო „ინტურისტთან“ ჩამოვჯექი. დაახლოებით თორმეტის ნახევარი იქნებოდა, როცა სპორტულ სამოსში გამოწყობილი ახალგაზრდა გამომეცნაურა. იერზე ეტყობოდა, ჩვენებური არ იყო, რუსულადაც საუბრობდა. ვიფიქრე, კაცი დასასვენებლად ჩამოვიდა და რაღაცის გარკვევა სურს-მეთქი. ერთი კითხვა მაქვსო, მითხრა, თანაც „ელი“-ო დააყოლა. რა ელი, რის ელი, ეს სიტყვა რაღას ნიშნავს-მეთქი, გავიფიქრე და გაკვირვებული შევაჩერდი. თვითონაც პირდაფჩენილი მიყურებდა, ამან, ეტყობა, რუსული არ იცის და სჯობს სასწრაფოდ გავეცალო აქაურობასო — შუბლზე ეწერა. უხერხული პაუზის შემდეგ პასუხი კი გავეცი, მაგრამ მაინც იმ „ელი“-ზე ვფიქრობდი. ბოლოს ზღვისკენ ხელი გაიშვირა და ერთი წამით ზურგი მაქცია, ზურგზე კი ARARAT ეწერა. მერე, იცოცხლეთ, ის ელიც კარგად გამახსენდა, ასე ხშირად, ყოველი წინადადების ბოლოს რომ ხმარობდნენ სომხები მათთან ტელეფონით საუბრისას. ამ ბიჭის წარმომავლობაშიც საბოლოოდ დავრწმუნდი, მაგრამ კიდევ უფრო გაკვირვებულმა ვკითხე:

— **გეტყობა, არარატელი ხარ, გუნდში რა ფუნქცია გაკისრია?**

— ფეხბურთელი ვარ.

— **კი მაგრამ, თქვენები ხომ „სპუტნიკში“ ცხოვრობენ. ამ დროს აქ რა გინდა? ხვალ ხომ თამაში გაქვთ?**

— არ მეძინება. თანაც უცხო ქალაქში ვარ და ცოტა ბათუმის დათვალიერება მინდა. „სპუტნიკიდან“ ტაქსით ჩამოვედი, გავისეირნებ, ქართველ გოგონებს თვალს შევავლებ და ტაქსითვე დავბრუნდები.

— **მთელი „არარატი“ შენსავით სეირნობს?**

— არა, მარტო მე ვარ.

— **არ გეშინია, მწვრთნელმა რომ გაიგოს შენი ანცობის ამბავი?**

— რისი უნდა მეშინოდეს? რა, ქუჩაში გამოსვლა აკრძალული მაქვს?

— **რა გვარი ხარ?**

— ანდრიასიანი

— **?!**

— ჰო. არკადის ძე ვარ, გიორგი მქვია.

— **ახლა კი მივხვდი, რაშიცაა საქმე.**

— ძალიან კარგი. მამაჩემი „არარატის“ მთავარი მწვრთნელი და პრეზიდენტია. აბა, ასე რომ გაგიკვირდა ჩემი აქ ნახვა, ეს მითხარი — ზღვისპირა ქალაქში ჩამოსული სასტუმროში რატომ უნდა ვიყო?

— **ესე იგი, ხვალ ან ითამაშებ ან არა.**

— ეგრეა. მამაჩემი გადაწყვეტს... ოჰ, უკაცრავად, სადღაც ათთეთრიანი დამივარდა. იქნებ მაპოვნინო?



გურამ ცუცქირიძის ფოტო

ავსტრიელი თანამსაჯი წყალს არ შეუშინდა

ორი წუთი მიწიდან თვალი არ მოუშორებია. ისე გაფაციცებული ეძებდა ქართულ მონეტას, გეგონებოდათ, ასდოლარიანი დაეკარგა. ბოლოს, როგორც იქნა, დაიღალა და იყოს, ვინმე გაჭირვებული იპოვის და გაუხარდება, თუმცა, მგონი, ათთეთრიანი დიდი ფული არ არისო, წამოიძახა. მერე თვალები გააშტერა და უმოძრაოდ იდგა. შემდეგ მომიბრუნდა, სიტყვები ერთმანეთს ძლივს გადააბა — ეჰ, ქართველებს მართლაც ლამაზი გოგონები გყავთ, ახლა ერთი სული მაქვს, აი, იმ ლამაზმანს როდის გავიცნობ, ნეტავ რას მეტყვისო — შემომჩივლა. შენზეა დამოკიდებული, მიდი და დაელაპარაკე, პასუხსაც თავად გეტყვის-მეთქი, ვუთხარი. არკადის ძეს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, მივხვდი, „სპუტნიკიდან“ მარტო ქალაქის დასათვალიერებლად არ ჩამოსულიყო, მით უმეტეს, თორმეტის ნახევარზე.

„ინტურისტში“ ბარი რომელ სართულზეა? — გააგრძელა სტუმარმა. სასტუმროს ბარი რად გინდა, საითაც გაიხედავ, ყველგან ბარი არ არის-მეთქი, ვუპასუხე. კი არის, მაგრამ „ინტურისტში“ სხვანაირი ატმოსფერო იქნებაო, თქვა და ისე მოკურცხლა, მისი ლანდიც არსად ჩანდა.

ამასობაში 12 საათიც შესრულდა. უკვე 14 აგვისტო გახლდათ. იმ ღამეს გიორგი არსად მინახავს, მხოლოდ თამაშის დაწყებამდე საათნახევრით ადრე მოვკარი თვალი, თვითონაც მიცნო და მანამ გასახდელში შევიდოდა, კიდევ გამომელაპარაკა:

— არ გაინტერესებს, გუშინ სად გავიქეცი?

— **როგორ არა.**

— იმ მანდილოსანს მივდიე, ვიფიქრე, სასტუმროს ბარში შევიდოდა, მაგრამ სადღაც გაუხვია. ბოლომდე მივყევი, ერთი-ორი სიტყვაც ვუთხარი, მან კი ისე მიპასუხა, კინაღამ ენა ჩამივარდა.

— **მერე?**

— მერე არაფერი. ხან იქეთ გავიარე, ხან აქეთ, ბოლოს მივხვდი, აღარაფერი გამომივიდოდა და „სპუტნიკისკენ“ გავწიე.

— **მამაშენი ძირითადში ალბათ არ გათამაშებს.**

— არა. უკვე გადაწყვიტა, მეც და ჩვენი პრეზიდენტის ძმისშვილი ტერ-პეტროსიანი სკამზე ვიქნებით. ისე, როგორ წვიმს, ასეთ ამინდში თამაში გაგვიჭირდება. არადა, ბათუმში მოსაგებად ჩამოვედით, ყველაზე უარეს შემთხვევაში ფრეს უნდა მივაღწიოთ. მას შემდეგ, რაც გავიგეთ, ჩვენი მეტოქე „ბათუმი“ იქნებოდა, სულ ამ შეხვედრაზე ვფიქრობთ. ისეთ პრემიებს დაგვპირდნენ, რომ თქვენები აუცილებლად უნდა გამოვაგდოთ.

— **თუ მოიგეთ, პრემიას რამდენს მოგცემენ?**

— არ გეტყვი. ძალიან დიდი ფულია. ჩვენები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, „ბათუმი“ რომ დავამარცხოთ. ბოდიში, გასახდელში მელოდებიან, თამაშისთვის უნდა მოვემზადოთ. იმაზეც ბოდიშს გიხდი, წუხელ დამშვიდობებაც რომ ვერ მოვასწარი, მაგრამ ჩემი ბრალიც არ არის. სტადიონზე დაგინახე, „ბათუმის“ ვარჯიშისას მამაჩემს რომ ესაუბრებოდი, მივხვდი, ჟურნალისტი იყავი და წუხელ მინდოდა ცოტა ფეხბურთზე გვესაუბრა, თანაც ვიფიქრე, სადმე კარგი ბარი ეცოდინება და მიმასწავლის, ლამაზი ქალები სად იკრიბებიან-მეთქი. თუმცა არც ერთი გამოვიდა, არც მეორე...

არკადი ანდრიასიანის ვაჟი ამის შემდეგ აღარც მინახავს. არც უთამაშია, აღარც „ინტურისტთან“ უბირჟავია გადადებული მატჩის დღეს. ეტყობა, წვიმისა შეეშინდა, რადგანაც პარასკევს, როცა გადადებული თამაში ხუთ საათზე იყო დანიშნული, „სპუტნიკიდან“ ხმამ ჩამოაღწია, სომხები სამშობლოში წასვლას აპირებენ, დღესაც გადაუღებლად წვიმს და სტადიონზე დაგუბებულ წყალს ერთ დღეში ვერ დააშრობენ, თანაც ფული აღარ გვაქვსო, ამბობდნენ. ამ საქმის მოსაგვარებლად „ბათუმის“ ტექნიკური დირექტორი მევლუდ ცინარიძე ეწვია სომხებს. მანამდე კი მატჩის კომისარმა გეორგიუს კუკულასმა მითხრა, სად უნდა წავიდნენ, წავლენ და, რასაც მოიგებენ, მერე ვნახავთო. ნეტავ წასულიყვნენ? ჯერ ადრეა ამ კითხვაზე პასუხი. შოთა ჭეიშვილისა არ იყოს, ყველაფერი 28-ში გამოჩნდება. ეყოფა თუ არა „ბათუმს“ ორბურთიანი ფორა? ლოგიკით, უნდა ეყოს. თუნდაც იმიტომ, რომ „ბათუმში“ გაცილებით მაღალი კლასის ფეხბურთელები თამაშობენ, უფრო შეთამაშებულნი და უფრო აზრიანები არიან. თანაც „რაზდანზე“ ბათუმელებს კაპიტანი მალხაზ მახარაძე დაემატება, რომლის გარეშეც, გასულ პარასკევს, მასპინძელთა დაცვა მთლად დალაგებულად ვერ მოქმედებდა.

კიდევ დავით ჭიჭველიშვილი გააძლიერებს ზღვისპირელებს, თუ, რაღა თქმა უნდა, 14-ში დატბორილ მოედანზე გადაბრუნებულ ფეხს უწამლა. თუმცა, ღმერთმა ნუ ქნას, ბათუმელებს შეყილაძის და ტულუშის გარეშე მოუწიოთ თამაშმა. ესენი საზღვარგარეთ აპირებენ წასვლას, მაგრამ კარგი იქნება, ათ დღესაც თუ მოიცდიან და თავიანთ წვლილს შეიტანენ „ბათუმის“ გამარჯვებაში. იმედია, ასეც იქნება. თანაც იმისი იმედიც გვაქვს, რომ ერევნის მატჩი თავსხმის გარეშე ჩატარდება, არც ერევნიდან მოშორებული სევანი აღიდღება და ვერც ტერ-პეტროსიანის და ნაზარიანის თავები უშველით მასპინძლებს.

ისე, ერთიცაა: ბათუმში წაგებული მატჩის შემდეგ არკადი ანდრიასიანმა ისე დაცოფა ფეხბურთელები, ლეონტმა სამი კაცი როგორ მოგატყუეთ და შეყილაძეს ბოლო წუთზე რატომ გაატანინეთო, გამორიცხული არაა, მთავარმა მწვრთნელმა „არარატის“ ფეხბურთელებს საპასუხო მატჩის შემდეგ მადლობაც კი უთხრას. ოღონდ მხოლოდ კარგი თამაშისთვის და არა გამარჯვებისთვის. ჩვენც ამისი გვჯერა...

**კობა ინასარიძე**



ბათუმი, ბათუმის სტადიონი. საცოდავი კუთხურის ალამი და მის საშველად მისული სახანძრო მანქანა

15 აგვისტოს შოთა არველაძის მეუღლეს, თამუნა მელაძეს შუადღის სამ საათზე ამსტერდამის საავადმყოფოში ბიჭი შეეძინა. ამრიგად, სამივე არველაძეს ახლა ვაჟები ჰყავთ და ამათი გენის ამბავი რომ ვიცი, 2018-20 წლისათვის...

რამდენიმე საათის შემდეგ ბედნიერი მამა „აიაქსის“ მაისურით გამოვიდა ბრწყინვალე „ამსტერდამ არენაზე“ და „აიაქსი“ სირცხვილისგან იხსნა: დაწოლილი ბალახზე გასრიალდა და „გრემიოს“ თავით ულამაზესი საპასუხო ბურთი გაუტანა.

# ბიჭია!!!

## შოთამ „ამსტერდამ არენაც“ დააჭაშნიკა

— ერთი სული მქონდა, როდის დაიბადებოდა ჩემი ვაჟი. ექოსკოპიით წინასწარ ვიცოდით, რომ ბიჭი იქნებოდა. მამობამ სიხარულისგან ლამის ჭკუა დამაკარგვინა და რა გასაკვირია, რომ „გრემიოს“ კარში გატანილი გოლი თამუნას და ჩემს გიორგის მივუძღვენი?

— **ბურთი აშკარად ფეხით დარტყმას „იმსახურებდა“, შენ კი ჩაწოლილმა თავით დაარტყი.**

— როდესაც ლაუდრუპმა პასი ჩაჰკიდა, ოდნავ წინ გადახრილი ვიყავი და ბურთზეც თავით ამიტომ წაველი. ისე, ლამაზად გამოვიდა, არა?

— **კი. „გრემიომ“ როგორი შთაბეჭდილება დატოვა?**

— როგორც ყველა ბრაზილიური გუნდი, ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობდნენ და სხვათა შორის, ძალზე შეკრულები ჩანდნენ.

— **შენი შეცვლაზე გამოყვანა ოლსენის ფანდი იყო?**

— არა, თავიდან ძირითადში ვიყავი დასახელებული, მაგრამ რა გული მომითმენდა, ამდენი ხნის ნანატრი ბავშვის დაბადებას არ შევსწრებოდი. ოლსენმა იფიქრა, საავადმყოფოდან ახალი მოსულია, ანერვიულებული და გადაღლილი იქნება და სჯობს შეცვლაზე დავაყენებო.

— **საშაბათს ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩი გაქვთ „ვიტესთან“. ოლსენს შემადგენლობა ხომ არ დაუსახელებია?**

— არა, ოლსენი ორშაბათს სულ არ მოსულა ბაზაზე. მოულოდნელად ავად გახდა და უიმისოდ ვივარჯიშეთ. მეორე დღეა, შეკრებაზე ვართ. ხვალ დილით მოვა და შემადგენლობასაც შევიტყობთ.

— **არჩილის „ბრედა“ ზეგ თამაშობს გასვლით მატჩს „ჰერენვენთან“. ხომ არ შეხმიანებიხარ ტყუპისცალს?**

— ახლახანს ვესაუბრე. ჰოლანდიის თასის მეორე ეტაპის მატჩი მოიგეს 3:1 და მერვედფინალში გავიდნენ, საიდანაც გათამაშებას ჩვენი „აიაქსი“ შეუერთდება. არჩილმა ერთ მომენტში ნახევარი გუნდი მოატყუა და ისეთი გოლი გაიტანა, აქაური ტელევიზია ლამის ყოველ წუთს ატრიალებს...

...დღეს შოთას „აიაქსში“ ოფიციალური დებიუტი ექნება. მართალია, „ვიტესი“ არასდროს განეკუთვნებოდა ნიდერლანდელთა გრანდებს, მაგრამ „აიაქსი“ უბრძოლველად მოგებას არ ელის, რადგან ლაუდრუპი და ტობიასენი დანიის ნაკრებში არიან გამოძახებულნი და გახსნის მატჩს გამოაკლდებიან. დანიც პორტუგალიის ნაკრებმა წაიყვანა, ლიტმანანი — ფინეთისამ. მოკლედ, ისე ეტყობა, „აიაქსი“ დღეს შოთას გასაქაჩი იქნება.

**აიაქსი:** ვან დერ სარი, ტობიასენი, ბლინდი, ოლისე, ფ. დე ბური, რუდი (ლიტმანენი 61), რ. დე ბური, ვიჩხე, ბაბანგიდა (მაკკარტი 88), სიბონი (არველაძე 46), მუსტრა (ლაუდრუპი 57)

**გრემიო:** დანრლეი, დარიო, რივაროლა, ლუსიანო, ოტასილიო (ჯაირო 31), ანდრე სანტუში, ზე ალსინიო (ქილმარი 81), ჟოაო, ჟილერმე, როდრიგო გრალი (ჟე 61), სერჟიო მანდელი (ედერი 81)

0:1 ზე ალსინიო (11), 1:1 არველაძე (90)

საინტერესოა, რომ ეს ამ გუნდების მეოთხე შეხვედრა გახლდათ. 1986 წლის 19 აგვისტოს კასაბლანკაში „გრემიომ“ 2:0 მოიგო, 1994 წლის 9 იანვარს ბანკოკის ტურნირზე 2:2 ითამაშეს, შარშანწინ 28 ნოემბერს კი ტოკიოში, საკონტინენტთაშორისო თასზე პენალტებით (ძირითადი დრო 0:0) ამსტერდამელებმა იმარჯვეს.

**მამუკა კვარაცხელია**

# ყველას თავისი აქვს საზრუნავი

დღეს მილანში, „სან სიროზე“, ბერლუსკონის თასი გათამაშდება. ეს იმას ნიშნავს, რომ „მილანის“ პრეზიდენტის, იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, მილიონერის, სილვიო ბერლუსკონის სახელობის ჯილდოს მოსაპოვებლად ერთმანეთს მისი გუნდი და „იუვენტუსი“ დაუპირისპირდებიან. თავისთავად თასი უმნიშვნელოა: ცხადია, თუ რომელიმე მხარე მას ვერ მოიპოვებს, ამით არც რამე დააკლდება, მაგრამ არის ერთი გარემოება: მეტოქეებს გამარჯვება თვითდამკვიდრებისთვის სჭირდებათ. „მილანი“ და „იუვენტუსი“ რომ არ იყვნენ, მაშინ სხვა საქმე იქნებოდა.

„მილანმა“, მოგეხსენებათ, გასულ სეზონში საძაგლად იასპარეზა. ბოლო თხუთმეტ წელიწადში გუნდს ასე ცუდად არასდროს უთამაშია: ჩემპიონთა თასზე ჯგუფიდან ვერ გავიდა, ქვეყნის თასიდან გავარდა, პირველობაზე კი ცხრილის შუაში დაიმკვიდრა ადგილი, რის გამოც ახლანდელი ევროშეჯიბრებების მიღმა დარჩა.

ახლა, როდესაც ბერლუსკონიმ შემადგენლობის განახლებას ათეულობით მილიონი დაახარჯა და მწვრთნელად ძველი დიდების მომპოვებელი ფაბიო კაპელო დააბრუნა, მას შედეგი სჭირდება. შედეგი თვითრწმენას მოაქვს, ამისთვის კი „იუვენტუსის“ ძლევაზე უკეთესი რა უნდა იყოს.

„იუვენტუსისთვისაც“ ფასეული იქნება მოგება. მიუხედავად მრავალი ტიტულის მოხვეჭისა, ტურინელებს გასული სეზონი მაინც მწარედ დაუსრულდათ — ჩემპიონთა თასის ფინალში დორტმუნდის „ბორუსიასთან“ 1:3 წააგეს. ამოცანა ნათელია: პრინციპულ მატჩებში გამარჯვება მოთამაშეებს კვლავ ჩვევად უნდა ექცეთ, აღსადგენია ფავორიტის ფსიქოლოგია. საამისოდ „ბებერმა ქალბატონმა“ მოსამზადებელ ეტაპზე უკვე გადადგა რამდენიმე ნაბიჯი — მოუგო „ნიუკასლ იუნაიტედსა“ და მიუნხენის „ბაიერნს“.

თან, გასულ სეზონში, აქ, „სან სიროზე“, „იუვემ“ „მილანს“ 6:1 აწენია...

— ახლა „იუვენტუსის“ კარშიც მსურს გოლის გატანა — თქვა მილანელთა ახალწველმა, ყოფილმა აიაქსელმა, ცნობილმა პატრიკ კლუივერტმა, რომელმაც ახალი გუნდის შემადგენლობაში პირველი „ამხანაგური“ გოლი უკვე შეაგდო.

პრობლემა აქვს მილანის მეორე გუნდს, „ინტერსაც“. მათი ვარსკვლავი, „ბარსელონადან“ ახალგადასული რონალდო ბრაზილიის ნაკრებს გაჰყვა აზიურ ტურნეზე, უმისოდ კი დიდმა სიძნელეებმა იჩინა თავი. სეზონისწინა ცხრა ამხანაგურ მატჩში „შავ-ლურჯებმა“ ერთადერთი გოლის გატანა მოახერხეს. რონალდოს გარეშე შეტევა შეტევას აღარ ჰგავს — ბურთი ნახევარდაცვაში ბრუნავს და მეტოქის კართან მომენტი აღარ იქმნება.

— გავიგე სირთულეების შესახებ, მაგრამ მწამს, მათი მოგვარება შეიძლება — უთხრა „გაძეტა დელო სპორტის“ კორესპონდენტს რონალდომ — წამალი ერთია — შრომა. მალე დავბრუნდები მილანში და ვიცი, რასაც გავაკეთებ. გამარჯვებები მომწყურდა, გვეყო ფრეები. მჯერა „ინტერის“ გუნდური სულის. ჩვენთან ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია, რაც ძლიერი ჯგუფის ჩამოყალიბების ჩინებულ საშუალებას იძლევა. ვიცი, ხალხი ვიძევში „პარმას“ გამარჯვებამ (3:1) დააშინა, მაგრამ „პარმას“ საქმე ხომ სხვაგვარად იყო — მას ჩემპიონთა თასის მატჩი ჰქონდა მოსაგები და ეს კონკრეტული ამოცანა გადაჭრა. წარმატება მაშინ მოვა, როდესაც ჩვენ ერთსულოვანნი გავხდებით. მწვრთნელმა ლუიჯი სიმონიმ იცის დავალებების მიცემა, ასე რომ, ჩვენთვის მთავარი თავდადება და ენთუზიაზმი რჩება.

თავად სიმონიმ კი აღიარა, რომ „ინტერი“ სხვა იტალიურ გუნდებს ჯერჯერობით ჩამორჩება.

— ფლანგები მეტად უნდა გამოვიყენოთ. გოლი ვერ გაგვიტანია, რაც ხალხს აღიზიანებს. ფეხბურთელები ბევრს მოძრაობენ, მაგრამ თავდასხმაში მთავარი ძალა გვაკლია — თქვა მან.

მთავარი ძალა ახლა ესპანეთშია, ცოტას დაისვენებს და კვირას იტალიაში ჩავა. მართალია, მანამდე სამ ამხანაგურ თამაშს გამოსტოვებს („პიზასთან“, „რომასთან“ და მადრიდის „ატლეტიკოსთან“), მაგრამ ჩემპიონატისთვის მწყობრში იქნება.

ჩემპიონატი კი 31 აგვისტოს იწყება.

**პაპუნა ძიდია**

## საფრანგეთი

III ტური

**ლიონი 0:3 მონაკო**
0:1 შპეხარი (14), 0:2, 0:3 იკპება (52, 60)

**ნანტი 0:2 ოსერი**
0:1 გივარში (54), 0:2 ლეშუერი (70)

**პარი სენ ჟერმენი 3:1 კანი**
1:0 სიმონე (9), 1:1 იენსენი (39 პ), 2:1 გავა (58), 3:1 რაი (89 პ)

**შატორუ 1:2 მეცი**
0:1 პირე (7), 0:2 როდრიგესი (63), 1:2 კოლი (80)

**ბორდო 2:2 რენი**
1:0 პაპენი (16), 1:1 ლაბერი (37), 1:2 გუსე (48), 2:2 მუსამპა (51)

**ტულუზი 1:1 ბასტია**
1:0 არიბაჟი (13), 1:1 ტაბორდი (35 საკ. კარში)

**მონპელიე 0:0 მარსელი**

**გინგამი 0:0 სტრასბური**

**ლანსი 0:0 ლე ავრი**

შარშან „მარსელმა" ვერცერთი გასვლითი მატჩი ვერ მოიგო, წლევანდელი სეზონი კი გუნდმა ჩინებულად დაიწყო: შინ ორი გამარჯვების შემდეგ ბევრი ფიქრობდა, რომ გუნდი ბოლოს და ბოლოს გატეხავდა ნავსს და გასვლაზე იმარჯვებდა, მაგრამ მარსელელებმა დათარსული სერიის შეწყვეტა სამომავლოდ გადადეს. მათსავით ფრედ ითამაშა „ბორდომ", ოღონდ შინ და ისიც ლიგის დებიუტანტთან. ეს კი არა, „აიაქსიდან" შესყიდულ კიკი მუსამპას თავისი პირველი ფრანგული გოლი რომ არ გაეტანა, შესაძლოა, უეფას თასის 1996 წლის ფინალისტები დამარცხებულიყვნენ კიდეც. როგორც იქნა, იმარჯვა ჟან ტიგანას „მონაკომ". ეტყობა, ამათ სამიოდ დღის წინ ბელგიური „ბრიუგედან" ხორვატი ფორვარდის რობერტ შპეხარის შეძენა ერთობ წაადგათ. მან გოლი გაიტანა და საერთოდ, ახალი თანაგუნდელების სახარულში დიდი წილი დაიდო. დასაწყისში რობერტმა თაურით იხეირა, მერე კი „ძირძველმა" მონაკოელმა ვიქტორ იკპებამ აიშვა და ჯერ ექვსი მეტრიდან, მერე კი ოდნავ შორიდან „ლიონს" კიდევ ორჯერ შეუგდო. მეორე გოლი ნიგერიელ იკპებას კი ჩაეწერა, მაგრამ სანამ ვიქტორი გაიტანდა, ჩადელმა იაფეტ ნდორამმა ლიონელთა საჯარიმოში ფინტების ისეთი კორიანტელი დააყენა, მცველებს თავგზა აებნათ და ერთ მომენტში ორი მათგანი შეასკდა კიდეც ერთმანეთს. სტუმრად მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით გახარებული ჟან ტიგანა მატჩის შემდეგ ამბობდა, ძლივს ვნახე შარშანდელი „მონაკოო".

მონაკოელთა დარად, დედაქალაქელებმაც იმარჯვეს. პსჟ-ს მორიგი, მესამე მსხვერპლი „კანი" გამოდგა. სტუმრები, რაც ქვეყნის საუკეთესოთა შორის თამაშობენ, აგერ უკვე მეათედ ეწვივნენ „პარკ დე პრენსს" და ამდენჯერვე შინ დამარცხებულნი გაბრუნდნენ. მასპინძელთა უდიდესი სათამაშო უპირატესობა ანგარიშში ნათლად არ აისახა, მაგრამ რაც მთავარია, გამარჯვებისთვის დაკანონებული სამი ქულა მოიტანა. მეტოქის რბევა იტალიელმა მარკო სიმონემ დაიწყო, რომელიც ერთობ კარგად მოერგო პსჟ-ს. ექს-მილანელმა ექს-ლიონელი ფლორიან მორისის პასით იხეირა. მასპინძელთა აქტიურობას მორიგი გოლი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ, ყველას გასაკვირად, ბურთი პსჟ-ს კარში გაეიდა — პარიზელმა დიდიე დომომ საჯარიმოში ლორან ლეროი დასცა და დანიელმა ბრიან იენსენმაც პენალტი გამოიყენა. პირველი ტაიმი ფრედ კი მორჩა, მაგრამ მეორეში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ჯერ იყო და პარიზელთა მეორე ექს-ლიონელმა, ფრენკ გავამ დააწინაურა თავისიანები, ბოლოს კი ერთობ აქტიურ რაის გარჯა დაუფასდა და პენალტის დარტყმის უფლებაც მიიღო — პარიზში ცნობილი კინოფესტივალის მასპინძელი ქალაქიდან ჩასულმა ფეხბურთელებმა ბრუნო ნგოტი საჯარიმოში წესების დაცვით ვერ შეაჩერეს და მსოფლიოს ჩემპიონმაც პენალტი გოლად აქცია. ისე, რაის გოლის წყალობით პსჟ-მ ბურთების სხვაობაში თანაბარქულიან „მეცს" აჯობა და თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ პირველობის ლიდერად იქცა.

„მეცი" ვახსენეთ — სეზონის წინ სპეციალისტები ამბობდნენ, დიდი ვერაფერი გუნდიაო, ახლა კი პსჟ-სთან ერთად პირველობის ლიდერია. ამჯერად მათ დებიუტანტი „შატორუ" დაამარცხეს. საფრანგეთის ნაკრების გარემარბმა რობერ პირემ დასაწყისში მარჯვენათი იხეირა, მეორე ნახევარში კი სტუმრებმა ლამაზი კომბინაციის შემდეგ დალაშქრეს „შატორუს" კარი. იუგოსლაველმა ვლადენ ლუკიჩმა პირეს გრძელი გადაცემა ბელგიელ დენი ბოფინს დაუგდო, ამის დარტყმული ხარიხას მოხვდა, მასპინძელთა დაბნეულ მცველებს როდრიგესმა აჯობა და ბოლო ორ შეხვედრაში მესამედ იხეირა. მასპინძლები ნულოვანი მარცხისგან დაკარში დაბადებულმა კოლიმ იხსნა.

თითქმის ყველა შეხვედრაზე ვთქვით ორიოდ სიტყვა, ტურის ერთ-ერთ ცენტრალური „ნანტი" — „ოსერის" შეხვედრა კი ბოლოსთვის შემოვინახეთ. არა, მატჩში არაჩვეულებრივი არაფერი მომხდარა. უბრალოდ, მატჩისშემდგომი მოვლენებია საყურადღებო, მაგრამ ჯერ გოლების შესახებ: თითქმის სათადარიგო შემადგენლობით მოთამაშე „ნანტს" გასული სეზონის ბომბარდირმა სტეფან გივარშმა ბრძოლა ადინა. ჯერ იყო და პირველ ტაიმში ძელები კინაღამ ჩამოუღო, შესვენების შემდეგ კი მიზანს მიაღწია და დიომედის გადაცემა გოლით დააგვირგვინა, მერე კი მარცხნიდან გაიჭრა და ლეშუერი ახეირა. მატჩის მერე გი რუ, რომელიც აგერ უკვე 35 წელია „ოსერს" წვრთნის, ამბობდა, მოგება უეჭველად გვეკუთვნოდა, მარტო გივარშს რომ გამოეყენებინა თავისი მომენტები, მინიმუმ ოთხი ბურთით მოვიგებდითო. თავად მატჩის გმირმა განაცხადა, გოლმა ძლიერ გამახარა, იქნებ ბომბარდირობა წელსაც შევინარჩუნოო. ამ შეხვედრაში მისი მეურვე ნანტელი სერჟ ლე დიზე კი მომავლის რწმენას არ კარგავდა — რა მოხდა, სამივე შეხვედრა რომ წავაგეთ, შარშანაც ასე დავიწყეთ, მაგრამ ბოლოს მესამეზე გავედითო. იგი კი ამბობდა ასე, მაგრამ „ნანტის" რამდენიმე ათასი გულშემატკივარი ძლიერ აღშფოთდა, საყვარელმა გუნდმა ზედიზედ მესამე შეხვედრაში გოლი რომ ვერ შეაგდო და კლუბის ოფისისკენ დაიძრა, თუმცა ქალაქის პოლიციამ ბრბოს წყლის ჭავლი აპკურა და მათ გულში დანთებული ცეცხლი ნახევარ საათში ჩააქრო.

**ლაშა გოდუაძე**



REUTERS პარტნიორები

პსჟ — კანი. პარიზელი მორისი სტუმართა გარემოცვაში

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| მეცი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| მარსელი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ტულუზი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ბასტია | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| სტრასბური | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ლე ავრი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| მონაკო | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| ლანსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| გინგამი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| ბორდო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | 4 |
| ლიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ოსერი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| მონპელიე | 3 | 0 | 2 | 1 | 1:5 | 2 |
| შატორუ | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| რენი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| ნანტი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | 0 |
| კანი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

## ბელგია

II ტური

**ბრიუგე 3:1 ვესტერლო**
1:0 ჟბარი (18), 2:0 ფადიგა (67), 2:1 იანსენი (73), 3:1 კლასენსი (80)

**აალსტი 2:0 ანტვერპენი**
1:0 ვანდერმეგი (46), 2:0 ლასენი (55)

**შარლერუა 2:1 სტანდარდი**
0:1 ბოდარი (4 პ), 1:1 იოვანი (86), 2:1 ბრონიო (87)

**ეკერენი 1:1 ლიერსი**
0:1 პაგდორენი (14), 1:1 ვერსტრეტენი (28)

**მუსკრონი 1:1 გენტი**
1:0 მარტიჩი (28), 1:1 მარტენსი (74)

**ლოკერენი 1:5 გენკი**
0:1 გუდიონსონი (13), 0:2 სტრუპარი (40), 0:3, 0:4 ულარე (50, 63), 0:5 პიტერსი (66), 1:5 ეკაკია (90)

**ანდერლეხტი 0:2 მოლენბეკი**
0:1 პაიდოკი (9), 0:2 ლერემანსი (87)

**სენტ ტრიუდენი 1:2 ჰარელბეკი**
0:1 ვერსხელდე (10), 1:1 ვუიტსი (45 პ), 1:2 ლამერსი (85)

**ლომელი 3:1 ბევერენი**
0:1 ტორკენი (35), 1:1 კანერტსი (36), 2:1 ნუიტსი (42), 3:1 ვალიგორა (82)

გასული ჩემპიონატის გამარჯვებულმა „ლიერსმა" თასის მფლობელ „ეკერენთან" შეხვედრაში 1:1 ითამაშა და ორი ქულა დაჰკარგა, ვიცე-ჩემპიონი „ბრიუგე" კი ჯერჯერობით უდანაკარგოდ მიდის. აქ ქულების დანაკარგი იგულისხმება, თორემ ერთი ფეხბურთელი „ბრიუგემ" წინა კვირაში გაასხვისა — ხორვატი თავდამსხმელი რობერტ შპეხარი 5 მილიონ დოლარად საფრანგეთის ჩემპიონს, „მონაკოს" მიჰყიდა. უშპეხარო გუნდმა პირველ დივიზიონში ახალაზღვევებულ „ვესტერლოს" 3:1 მოუგო და როგორც ხედავთ, ორ თამაშში ორი გამარჯვება მოიპოვა.

„სტანდარდმა" „შარლერუასთან" შეხვედრაში პენალტით გახსნა ანგარიში. საინტერესოა, რომ თერთმეტმეტრიანი იქეთას აქეთა მეკარემ, 1981 წელს (!) თბილისში ნათამაშევმა ჟილბერ ბოდარმა გაუტანა, მაგრამ შემდეგ ორი გაუშვა და წააგო. ეს ნერვიული და უხეში თამაში გუნდებს სამ გაძევებად დაუჯდათ. გაძევებები ტურს არც სხვა ქალაქებში აკლდა. სტატისტიკა ასეთია: ცხრა მატჩში ათი წითელი ბარათი.

„ანდერლეხტმა", რომელსაც პირველობის ფავორიტად მიიჩნევდნენ, „მოლენბეკთან" შინ 0:2 წააგო, რასაც არავინ ელოდა. მასპინძლებს ამ შეხვედრაში სპირა გრუჯიჩი გაუგდეს მოედნიდან, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ მალე ცხრილში სხვა ანგარიში გავვიხდეს შესატანი. საქმე ის გახლავთ, რომ „მოლენბეკის" მწვრთნელმა ნებადართულზე ერთით მეტი, ოთხი ფეხბურთელი შეცვალა.

„ლოკერენმა", რომელიც ბოლო ადგილზეა, პირველი ტურის შემდეგ მწვრთნელი ფი ვანჰოფი კი გაანთავისუფლა თანამდებობიდან და მის ნაცვლად რუდი კოსი დანიშნა, მაგრამ კოსმა ბევრი ვერაფერი გამოცვალა. გუნდმა „გენკთან" შინ 1:5 წააგო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 2 | 2 | 0 | 0 | 9:1 | 6 |
| ბრიუგე | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| ლიერსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ეკერენი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ლომელი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| აალსტი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ჰარელბეკი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ვესტერლო | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| მოლენბეკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| შარლერუა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | 3 |
| მუსკრონი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| სტანდარდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ბევერენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| გენტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | 1 |
| ანტვერპენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ანდერლეხტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| სტ. ტრიუდენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| ლოკერენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |

## შოტლანდია

2-ე ტური. დანდი იუნაიტედი — ჰიბერნიანი 1:1; სელტიკი — დანფერმლაინი 1:2; ჰარტსი — აბერდინი 4:1; მოზერველი — სენტ ჯონსტონი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიბერნიანი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სენტ ჯონსტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| რეინჯერსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ჰარტსი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| მოზერველი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| დანფერმლაინი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| დანდი იუნ. | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| კილმარნოკი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| აბერდინი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| სელტიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |

## ინგლისი

პირველი დივიზიონი

2-ე ტური. ბრედფორდი — სტოკ სიტი 0:0; ტრანმერი — ქუინზ პარკი 2:1; ვულვერჰემპტონი — შეფილდ იუნაიტედი 0:0; სტოქპორტი — ბერი 0:0; რედინგი — სვინდონი 0:1; პორტსმუთი — პორტ ვეილი 3:1; ნოტინგემი — ნორვიჩი 4:1; ჩარლტონი — ოქსფორდი 3:2; ქრიუ — ვესტ ბრომვიჩი 2:3

**სანდერლენდი 3:1 სიტი**

სიტი: მარგეტსონი, ბრაითველი, ვიგენი, ვიკენსი, საიმონსი, კერნაგენი, ბრენენი (სამერბი 74), პორლოკი, ბრედბერი, ქინქლაძე, როსლერი (ვან ბლერკი 32)

გოლი: 1:0 ქუინი (17), 1:1 ქინქლაძე (76 პ), 2:1 ფილიპსი (84), 3:1 კლარკი (89)

პირველივე წუთებიდან იგრძნობოდა „სანდერლენდის" უპირატესობა, „სიტის" კი შარშანდელივით ეტყობოდა, რომ ქინქლაძის იმედზე იყო. გიომ თავისიც გააკეთა და მეტიც, მაგრამ, ერთი კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. თან, 24-ე წუთზე გუნდი ალან კერნაგენმა დაალალატა — ამის უხეშობისთვის „სიტი" კაცნაკლული დარჩა. აქედან დაიწყო მასპინძელთა გამძაფრებული შეტევები. ფრენკ კლარკმა დაცვის ვაგლახი რომ იხილა, როსლერის ნაცვლად ახალშეძენილი ავსტრალიელი ჯეისონ ვან ბლერკი გამოუშვა და ამანაც გარკვეულწილად გააძლიერა მანჩესტერელთა დაცვა. მეორე ტაიმში ვითარება არ შეცვლილა. მასპინძლები უტევდნენ, „სიტი" კი გიოს სოლო-რეიდების წყალობით ახერხებდა მეტოქის ნახევარზე გადასვლას. ერთ-ერთი კონტრშეტევა გოლით დამთავრდა კიდეც — გიო მეტოქის სამ მცველს გასცდა, საჯარიმოში შეიჭრა, იქ კი „სანდერლენდის" კაპიტანმა კევინ მოლმა წააქცია — პენალტი დაზარალებულმა უზადოდ შეასრულა. თითქოს ქულაც ალებული იყო, მაგრამ...

## გერმანია

თასის პირველი ეტაპი

ჰამბურგი (მოყვარულები) — ბოხუმი 2:3, როტ ვაისი — დუისბურგი 1:2, მიონხენგლადბახი (მოყვარულები) — შტუტგარტი 0:1, ზაარბრუკენი — ფრაიბურგი 1:0, ჰანსდორფი — კოტბუსი 1:4, აახენი — ნიურნბერგი 0:0 (4:3 პ), მანჰაიმი — ფორტუნა 6:2, ჰანზა — ლევერკუზენი 0:2, ნორდჰაუზენი — ჰამბურგი 1:3, კაიზერსლაუტერნი (მოყვარულები) — კაიზერსლაუტერნი 0:5, ვერდერი (მოყვარულები) — ვოლფსბურგი 2:3, ცელე — მიუნხენ 1860 0:2, როტლინგენი — არმინია 0:3, აიზენჰუტენშტადი — ჰერტა 0:4, რაინიკენდორფი — მეპენი 0:2, ლიუბეკი — დიუსელდორფი 2:1, ზინგენი — ფიურტი 0:2, მიუნსტერი — მაინცი 2:2 (6:7 პ), ნოიკერხენი — ურდინგენი 0:2, ჰალე — აინტრახტი 0:4, ტრირი — უნტერჰახინგი 2:1, ოლდენბურგი — კიკერსი 2:4

ეტაპის მთავარი მოვლენა „კიოლნისა" და მიონხენგლადბახის „ბორუსიის" დამარცხება იყო. ბუნდესლიგის ამ ორმა გუნდმა დაბალი ეშელონის წარმომადგენლებთან წააგეს და შეჯიბრებას გამოეთიშნენ. „კიოლნი" მესამე ლიგის ბავარიელ წარმომადგენელ „ულმთან" დამარცხდა 1:3. „ულმი" სამოყვარულო გუნდია, სხვათა შორის მეოთხე, რომელმაც „კიოლნი" პირველივე რაუნდიდან გამოაგდო. აღსანიშნავია, რომ 1995 წელს, იმავე ლიგის სხვა გუნდთან დამარცხების გამო „კიოლნის" მაშინდელი მწვრთნელი მორტენ ოლსენი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს. „კიოლნის" ახლანდელი თავკაცი პეტერ ნოიჰაუზერი წინამორბედის ბედს ალბათ არ გაიზიარებს. მასზე კლუბის პრეზიდენტმა ჰარტმანმა თქვა, გამოცვლას არ ვაპირებო. აქვე გვინდა ბოდიში მოგიხადოთ წინა ნომერში დაშვებული შეცდომისთვის, სადაც „კიოლნის" გამარჯვება გვეწერა.

მიონხენგლადბახმა „ჰანოვერთან" პენალტებით 3:5 წააგო. საოცარია, რომ ამ გუნდების მატჩი თასის 1992 წლის ფინალში ზუსტად ასევე დამთავრდა.

მიუნხენის „ბაიერნმა" კლუბის რეკორდი დაამყარა — ბავარიისავე „ვალდბერგს" 16:1 მოუგო. ამის მიუხედავად, „ვალდბერგმა" იხეირა: თამაშმა შემოსავლად 350 ათასი მოუტანა და ახლა ახალი სტადიონის აგებას დაიწყებს. გუნდისთვის, რომლის წლიური ბიუჯეტი 100 ათასია, ზემოხსენებული შემოსავალი მართლაც დიდებულია. რაც შეეხება თასის რეკორდთა რეკორდს, იგია 17:0. ასეთი ანგარიშით მოუგო 1941 წელს „შტუტგარტერ კიკერსმა" „კნაილინგენს".

„კაიზერსლაუტერნმა" საკუთარ მოყვარულებს 5:0 მოუგო. ასეთი სიურპრიზი კენჭისყრამ ისტორიაში მეორედ მოაწყო. წარმოიდგინეთ: ორივე გუნდს ოტო რეჰაგელი ხელმძღვანელობდა.

## შვეიცარია

7-ე ტური. სერვეტი — ლოზანა 3:0; კრიონსი — გრასჰოპერი 2:1; ბაზელი — არაუ 2:1

ციურიხელთა მწვრთნელმა კრისტიან გროსმა ჩვენებურთაგან მხოლოდ გია ნემსაძე ათამაშა, თანაც მეორე ტაიმში შეცვლაზე შეიყვანა, მიშა ყაველაშვილი კი სათადარიგოთა სკამზე იჯდა. გია გროსმა საყრდენად ათამაშა, თუმცა მისმა მონდომებამაც ვერ უშველა კალიებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 7 | 5 | 2 | 0 | 17:7 | 17 |
| ლოზანა | 7 | 4 | 2 | 1 | 14:6 | 14 |
| კრიონსი | 7 | 4 | 1 | 2 | 9:6 | 13 |
| გრასჰოპერი | 7 | 3 | 2 | 2 | 18:10 | 11 |
| სენტ გალენი | 7 | 3 | 2 | 2 | 13:10 | 11 |
| ციურიხი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:10 | 11 |
| სიონი | 7 | 2 | 4 | 1 | 9:8 | 10 |
| ქსამაქსი | 7 | 3 | 0 | 4 | 11:13 | 9 |
| არაუ | 7 | 1 | 2 | 4 | 7:11 | 5 |
| ლუცერნი | 7 | 1 | 2 | 4 | 4:10 | 5 |
| ბაზელი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:13 | 5 |
| კარუჟი | 7 | 0 | 3 | 4 | 4:15 | 3 |

## რუსეთი

23-ე ტური. ალანია — როსტსელმაში 0:0, დინამო — ლოკომოტივი 3:1, ფაკელი — ნიჟნი ნოვგოროდი 2:0, როტორი — ბალტიკა 2:1, ჟემჩუჟინა — კრილია 0:1, შინიკი — ზენიტი 2:0, ტორპედო — ცსკა 3:0, სპარტაკი — კამაზი 6:2, ჩერნომორეცი — ტიუმენი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როტორი | 23 | 14 | 4 | 5 | 43:22 | 46 |
| დინამო | 23 | 13 | 7 | 3 | 30:13 | 46 |
| სპარტაკი | 22 | 13 | 5 | 4 | 38:16 | 44 |
| ტორპედო | 23 | 12 | 4 | 7 | 38:25 | 40 |
| ლოკომოტივი | 23 | 9 | 9 | 5 | 29:22 | 36 |
| ჩერნომორეცი | 22 | 9 | 8 | 5 | 27:20 | 35 |
| ალანია | 23 | 10 | 4 | 9 | 36:25 | 34 |
| როსტსელმაში | 23 | 7 | 11 | 5 | 23:18 | 32 |
| კრილია | 23 | 8 | 6 | 9 | 18:20 | 30 |
| შინიკი | 23 | 7 | 9 | 7 | 19:25 | 30 |
| ბალტიკა | 23 | 6 | 12 | 5 | 24:19 | 30 |
| ჟემჩუჟინა | 23 | 8 | 5 | 10 | 21:27 | 29 |
| ზენიტი | 23 | 7 | 8 | 8 | 13:19 | 29 |
| ცსკა | 23 | 6 | 6 | 11 | 18:32 | 24 |
| ტიუმენი | 23 | 6 | 5 | 12 | 18:31 | 23 |
| კამაზი | 23 | 6 | 1 | 16 | 27:53 | 19 |
| ფაკელი | 23 | 5 | 3 | 15 | 14:27 | 18 |
| ნ. ნოვგოროდი | 23 | 5 | 3 | 15 | 16:37 | 18 |

## პოლონეთი

2-ე ტური. გურნიკი — ლკს 3:1; ვიძევი — ლეხი 0:1; ოდრა — გკს 3:1; რაკოვი — ამიცა 1:2; რუხი — პეტროხემია 4:0; სტომილი — პოლონია 1:1; ზაგლებიე — ოსტროვიეცი 3:0; ვისლა — ლეგია 2:2; გროცლინი — პოგონი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამიცა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ლეგია | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 |
| სტომილი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| პოგონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ლეხი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| გკს | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| ვიძევი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| ზაგლებიე | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| რუხი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| რაკოვი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ოდრა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ლკს | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| გურნიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| პოლონია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| გროცლინი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| ოსტროვიეცი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| ვისლა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | 1 |
| პეტროხემია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

## ავსტრია

8-ე ტური. აუსტრია — რაპიდი 0:3; ლუშტენაუ — ლინცერი 4:1; რიდი — ტიროლი 2:0; ზალცბურგი — გრაცერი 2:1; შტურმი — ადმირა 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 8 | 5 | 3 | 0 | 20:5 | 18 |
| გრაცერი | 8 | 5 | 1 | 2 | 16:8 | 16 |
| ლუშტენაუ | 8 | 3 | 3 | 2 | 14:7 | 12 |
| აუსტრია | 8 | 3 | 3 | 2 | 11:8 | 12 |
| რაპიდი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:10 | 12 |
| რიდი | 8 | 2 | 4 | 2 | 8:11 | 10 |
| ტიროლი | 8 | 3 | 0 | 5 | 12:14 | 9 |
| ზალცბურგი | 8 | 2 | 1 | 5 | 10:12 | 7 |
| ლინცერი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:15 | 7 |
| ადმირა | 8 | 2 | 1 | 5 | 6:23 | 7 |

## იტალია

თასის 1/32 ფინალი. პირველი მატჩები

ჩეზენა — ლეჩე 0:0, ბრეშელო — ლუკეზე 4:1, ანკონა — პესკარა 2:1, კოვო — დი სანგრო 0:0, კატანია — ვერონა 0:1, პალერმო — რეჯინა 1:2, სავოია — პერუჯა 0:0, ფ. ანდრია — პადოვა 2:1, კოზენცა — ფოჯა 0:0, ნოჩერინა — კალიარი 2:2, კომო — ტორინო 4:2, ტრევიზო — რეჯანა 1:2, კრემონეზე — რავენა 0:1, სალერნიტანა — ბარი 1:1, კაპრი — ვენეცია 0:1

## შესარჩევი ტურნირი
FRANCE 98

## აფრიკა

### I ჯგუფი

**ბურკინა ფასო 2:4 კენია**

0:1 სულემანი (8), 1:1 ზონგო (26), 1:2 ვერე (44), 1:3, 1:4 სუნგატი (70, 77), 2:4 სენუ (80)

**გვინეა 1:0 ნიგერია**

1:0 კამარა (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 13 |
| გვინეა | 6 | 4 | 0 | 2 | 10:5 | 12 |
| კენია | 6 | 3 | 1 | 2 | 11:12 | 10 |
| ბურკინა ფასო | 6 | 0 | 0 | 6 | 7:17 | 0 |

ნიგერიის ნაკრების პირველი მარცხი შესარჩევ ტურნირში იმით იყო გამოწვეული, რომ „სუპერარწივების" ფრანგმა მწვრთნელმა ფილიპ ტრუსიემ ახალგაზრდები ათამაშა. გაისად თებერვალში აფრიკის თასის მასპინძელი ბურკინა ფასო შინ კენიასთან მარცხის შემდეგ შესარჩევი ტურნირის ერთადერთი გუნდი გახდა, რომელმაც ყველა მატჩი წააგო. ბურკინა ფასო უკვე მეხუთე წუთზე კაცნაკლული დარჩა, მას შემდეგ, რაც გუნდის მეკარე იბრაჰიმ დიარა გააძევეს.

### II ჯგუფი

**ეგვიპტე 5:0 ლიბერია**

გოლები: ქაშაბა (3), განაფი, საბრი, კამუნა, იმამი.

**ტუნისი 4:0 ნამიბია**

1:0 ბეია (19), 2:0 სუავი (31), 3:0 ბეია (57), 4:0 ლიმაბი (72)

შაბათ-კვირას აფრიკის კონტინენტზე გამართული მატჩებით დასრულდა საფრანგეთი 98-ის შესარჩევი ტურნირი, რომელმაც აფრიკიდან მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრი დარჩენილი ორი საგზურის მფლობელი გამოავლინა. ნიგერიამ, მაროკომ და ტუნისმა შესარჩევი ტურნირის დასასრულამდე რამდენიმე ხნით ადრე გაინაღდეს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება, ახლა კი მათ სამხრეთ აფრიკა და კამერუნიც შეემატნენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 6 | 5 | 1 | 0 | 10:1 | 16 |
| ეგვიპტე | 6 | 3 | 1 | 2 | 15:5 | 10 |
| ლიბერია | 6 | 1 | 1 | 4 | 2:10 | 4 |
| ნამიბია | 6 | 1 | 1 | 4 | 6:17 | 4 |

ტუნისის ნაკრებმა, ისევე, როგორც მაროკომ, დაუმარცხებელმა დაასრულა შესარჩევი ტურნირი.

### III ჯგუფი

**სამხრეთი აფრიკა 1:0 კონგო**

1:0 მასინგა (14)

**ზამბია 2:0 კონგოს რესპუბლიკა (ექს-ზაირი)**

1:0, 2:0 კამვანდი (35, 36)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხ. აფრიკა | 6 | 4 | 1 | 1 | 7:3 | 13 |
| კონგო | 6 | 3 | 1 | 2 | 5:5 | 10 |
| ზამბია | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 8 |
| კონგოს რესპ. | 6 | 0 | 2 | 4 | 4:9 | 2 |

იოჰანესბურგში, „სოკერ სითის" 75 ათასიან სტადიონზე, 90 ათასი კაცი შეკრიბა. მათ იხილეს მატჩი, რომელმაც სამხრეთ აფრიკას პირველად მოუპოვა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება. „ბაფანა-ბაფანას" (სამხრეთ აფრიკის ნაკრების მეტსახელია) ფრეც ჰყოფნიდა, მაგრამ მასპინძლებმა თავის ატკიება არ ისურვეს და იმარჯვეს. გამარჯვებულთა მწვრთნელმა კლაივ ბარკერმა განაცხადა, ჩემს გუნდს ასე ცუდად ჯერ არ უთამაშია, მაგრამ ცუდი თამაშით ჯერ ამხელა მნიშვნელობის მატჩიც არ მოუგიაო.

### IV ჯგუფი

**ზიმბაბვე 1:2 კამერუნი**

0:1, 0:2 მბომა (48, 58), 1:2 დინა (86)

**ტოგო 1:1 ანგოლა**

0:1 კუინზინიო (44), 1:1 უაჯა (47)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 6 | 4 | 2 | 0 | 10:4 | 14 |
| ანგოლა | 6 | 2 | 4 | 0 | 7:4 | 10 |
| ზიმბაბვე | 6 | 1 | 1 | 4 | 6:7 | 4 |
| ტოგო | 6 | 1 | 1 | 4 | 6:14 | 4 |

კამერუნის გუნდი პირველი აფრიკელი გუნდი შეიქნა, მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ტურნირზე ზედიზედ მესამედ რომ გააღწია.

### V ჯგუფი

**მაროკო 2:0 გაბონი**

1:0 ნაიბეთი (25), 2:0 ბაჯა (44)

**განა 0:2 სიერა ლეონე**

0:1 ამიდუ (13), 0:2 კალონი (46)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 6 | 5 | 1 | 0 | 14:2 | 16 |
| სიერა ლეონე | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | 7 |
| განა | 6 | 1 | 3 | 2 | 7:7 | 6 |
| გაბონი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:11 | 1 |

*შესარჩევი ტურნირის ბომბარდირები 5-5 გატანილი გოლით გახდნენ: პაულაუ (ანგოლა), აბდელ სელიმი (ტუნისი), ვიტალის ტაკავირა (ზიმბაბვე).*

## შესარჩევი ტურნირი
FRANCE 98

## ევროპა

ხვალ მსოფლიოს ფეხბურთს ძლიერი ტალღა გადაუვლის — ოთხშაბათია და საფრანგეთ 98-ის შესარჩევი ტურნირის მორიგი მატჩები გაიმართება. ამჯერად ევროპის მატჩებზე მოგითხრობთ:

ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა სოფიაში გაიმართება, სადაც მასპინძლები ისრაელს მიიღებენ. ამ მეხუთე შესარჩევ ჯგუფს რუსები ლიდერობენ — 6 თამაშიდან 15 ქულით. ბულგარელები მესამეზე არიან 12 ქულით, მაგრამ 5 თამაშიდან, ისრაელს კი 13 ქულა აქვს 7 მატჩიდან. თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე ბულგარელთა მწვრთნელმა ხრისტო ბონევმა განაცხადა — რომ არ მოვიგოთ, საქმე გაგვირთულდება, ამიტომ ჩვენს შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოვიყენებთ, მითუმეტეს, მეტოქის აქილევსის ქუსლი კარგად ვიცითო. დაახლოებით ამდაგვარი განწყობა აქვს ხრისტო სტოიჩკოვს. მან თქვა, ეს შეხვედრა რუსებთან თამაშზე გაცილებით მძიმე იქნება, მაგრამ არაფრის დათმობას ვაპირებთო.

ისრაელის ნაკრების მწვრთნელმა შლომო შარფმა ბულგარელებთან სათამაშოდ კვლავ მიიწვია გამოჯანმრთელებული რონენ ხარაზი, ვინაც ნაკრებში ჩატარებულ 36 მატჩში 19 გოლი გაიტანა. ხარაზი მთელი სეზონი ტრავმებმა გატანჯა.

ისრაელი: მეკარეები — რაფი კოენი (ბნეი იუდა), გოლან მალული (მაკაბი, ფეთახ-თიქვა); მცველები — დავიდ ამსალემი, ალონ ხარაზი (ბეითარი), ავიშაი იანო (მაკაბი, ჰაიფა), მოშე გლამი, ამირ შელახი (მაკაბი, თელ-ავივი), ფელიქს ხალფონი (ჰაპოელი, თელ-ავივი), ვალიდ ბდირი (ჰაპოელი, ფეთახ-თიქვა); ნახევარმცველები — არიკ ბენანდო (მაკაბი, ჰაიფა) რან ბენ შიმონი (ჰაპოელი, ხაიფა), ავი ნიმნი (მაკაბი, თელ-ავივი), ტალ ბანინი (ბრეშია), იუსი აბუკსისი (ბეითარი), ალონ ხაზანი (ირონი), თავდამსხმელები — რონენ ხარაზი (სალამანკა), ელი ოჰანა (ბეითარი), ალონ მიზრახი (მაკაბი, ჰაიფა), ჰაიმ რევივო (სელტა).

მეოთხე შესარჩევ ჯგუფში ბელარუსი, ვისაც დასაკარგი არაფერი აქვს, შვედებს უმასპინძლებს. ივნისში შოტლანდიელებთან დაშავებული, მინსკის დინამოელი მცველი ანდრეი ლავრიკი გუნდს დაუბრუნდა და არაა გამორიცხული, ითამაშოს.

აქვე ბელარუსების როიტერისეულ სავარაუდო ძირითად შემადგენლობას შემოგთავაზებთ:

ვალერი შანტალოსოვი, ვიაჩესლავ გერაშჩენკო, ანდრეი დოვნარი, ანდრეი ლავრიკი, სერგეი შტანიუკი, ვიაჩესლავ ოსტროვსკი, სერგეი გურენკო, როდისლავ ორლოვსკი, ალექსანდრ კულჩი, მიროსლავ რომაშენკო, სერგეი გერასიმეცი.

# «დინამოს» ისიც ანგრევდა

ხვალ გერმანელთა ეროვნული გუნდი ჩრდილო ირლანდიაში თამაშობს. ამ შეხვედრისთვის ბერტი ფოგტსმა, სხვებთან ერთად, თბილისის დინამოელთა სამი ნაცნობი, ლევერკუზენის „ბაიერის" ფეხბურთელები კრისტიან ვიორნსი, ულფ კირსტენი და იენს ნოვოტნი მიიწვია. ერთ კვირაში სამივეს თბილისში, ჩემპიონთა თასის მეორე შესარჩევი ეტაპის არაფრისმომცემ საპასუხო შეხვედრაში ვიხილავთ. მიუხედავად იმისა, რომ შემდეგი ოთხშაბათის თბილისური მატჩი სრული ფორმალობაა, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ დღეს, ორიოდ სიტყვით, იენს ნოვოტნი გაგაცნოთ. მაინც საინტერესოა, რა კაცი ესტუმრება ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს, მითუმეტეს, რომ მას, ბოლო დროს, ევროპის ჩემპიონ გუნდში თამაშის ღირსად თვლიან.

...„ლევერკუზენის" ლიბეროსა და კაპიტანზე, იენს ნოვოტნიზე ვერავინ იტყვის, საზოგადოებისთვის უსარგებლო კაციაო. „კარლსრუეში" რომ თამაშობდა, თავისუფალ დროს ხშირად ინვალიდებთან ატარებდა ხოლმე. დოიჩმარკებით ავსებული ბუნდესლიგელი პროფესიონალის ცხოვრება მისთვის არაა მოგონილი.

უცნაურია, მაგრამ მოედანზე გასული ნოვოტნი თანაგრძნობის უნარს სრულიად ჰკარგავს. ეს მხარბეჭიანი და ღონიერი ახალგაზრდა უშელავათო კაცად იქცევა: დაცვაში ისე იბრძვის, ლამის იკბინება, ხოლო შეტევაში ბურთს ფეხზე მიიწებებს და მეტოქეებს აქეთ-იქით ყრის.

„კარლსრუეში" რომ მივიდა, ნოვოტნი 16 წლისა იყო. მაშინ, 1990 წელს, მას იმედისმომცემ ლიბეროდ ან უკანდახეულ ნახევარმცველად მიიჩნევდნენ. შემდეგ იგი გერმანელთა 21 წლამდელი ნაკრების უცვლელ წევრად იქცა, 12 თვის წინ კი ლევერკუზენში გადავიდა, რაც, საყოველთაო აზრით, მისი კარიერისთვის სწორი ნაბიჯი გახლდათ. ახალი გუნდის შეფმა, კრისტოფ დაუმმა კაპიტნობა რომ უბოძა, ნოვოტნიმ შეიფერა და მწვრთნელს თავისუფალი მცველის დიდოსტატური თამაშით უპასუხა — თავიანთი კარის მისადგომები ყრუდ ჩარაზა, დახმარების ხელი არც შემტევ თანაგუნდელებს მოაკლო და „ბაიერის" ერთ-ერთი უძლიერესი ფიგურა გახდა. გასულ სეზონში ლევერკუზენელთა ვიცე-ჩემპიონობაში ნოვოტნიმ მართლაც რომ ლომის წილი დაიდო.



**იენს ნოვოტნი**

ქვეყანა: გერმანია

კლუბი „ბაიერი" (ლევერკუზენი)

დაიბადა 1974 წლის 11 იანვარს შპაილბერგში

თამაშობდა „შპაილბერგში", „გერმანია ფრაიდრიხშტალსა" და „კარლსრუეში"

ნაკრებში ჩატარებული აქვს ერთი შეხვედრა — 1997 წლის აპრილში უკრაინის წინააღმდეგ. გოლი არ გაუტანია

— საწყენია, ჩემპიონის ტიტულამდე ხომ სულ ცოტა დაგვაკლდა — ამბობს ლიბერო — გადიოდა დღეები, ქულებს ვაგროვებდით და ვგრძნობდით, რომ პირველ ადგილზე გასვლა შეგვეძლო, მაგრამ ბოლოში მიუნხენის „ბაიერნმა" გვაჯობა. და მაინც, მეორე ადგილი მშვენიერი იყო, რადგან ლევერკუზენელთა გარდა არავის სწამდა, რომ ჩვენ ეს შეგვეძლო. აკი შევძელით, ჯილდოდ ჩემპიონთა თასზე თამაში გვერგო. მომავალსაც იმედით უნდა ვუყუროთ. ახალგაზრდული გუნდი გვყავს, რომელსაც ზრდისთვის დიდი მარაგი აქვს.

მართლაც, ნოვოტნისთვის ყველაფერი კარგად მიდის. კლუბში მისმა კარგმა თამაშმა ბერტი ფოგტსის ყურადღება მიიპყრო და აპრილში, ბრემენში, უკრაინის ნაკრების წინააღმდეგ ეროვნულ გუნდში ათამაშეს კიდეც. იგი მატჩის მეცამეტე წუთზე შტუტგარტელი ფრედი ბობიჩის ნაცვლად შევიდა მოედანზე.

— იენსი მათ შორისაა, ვისაც ბოლო დროს თვალი დავადგი — თქვა ფოგტსმა — ის 21 წლამდელთა ნაკრებშიც კარგად თამაშობდა და „ლევერკუზენშიც". ვერავინ უარჰყოფს, რომ ნოვოტნი გერმანიის გუნდში ძალთა მოსინჯვის ღირსია. მისი თვისებებიდან ბევრი მომწონს — სწრაფია, დისციპლინიანი, ღონიერი და ბურთს კარგად ფლობს. ახალი სეზონი მისთვის გამოცდისა იქნება. იენსმა ბოლო თვეების მიღწევებზე მომავალი უნდა ააგოს, სწორად უნდა განვითარდეს. ის მაღალი დონის ლიბეროა.

როგორც ჩანს, ფოგტსმა მათიას ზამერის შემცვლელი იპოვნა.

**პაპუნა ძიძია**

# პლანეტის თმის[illegible]



REUTERS ბოლოთობიდან

სენსაცია! შაბათს დიდი იტალიელი ფეხბურთელი რობერტო ბაჯო ვარჯიშზე თმაშეკრეჭილი მივიდა. მსოფლიო ფეხბურთში ყველაზე ცნობილი „ცხენის კუდი" აღარ არსებობს, უფრო სწორედ, ის კალდონიოში, ბაჯოს სახლში, უჯრაში ასვენია.

„ცხენის კუდის" დებიუტი შვიდი წლის წინ შედგა, მას მერე, რაც რობერტო ბუდისტად მოინათლა. პოპულარობის მწვერვალს „კუდმა" 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მიაღწია და თითქოს, სამარადისოდ, ფეხბურთელის სიმბოლოდ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ...

— გრძელმა თმამ დამღალა — განუცხადა ბაჯომ „ბოლონიის" საწვრთნელ ბაზაზე მოულოდნელობისგან გაოგნებულ ჟურნალისტებს — ოჯახი მის შეჭრას დამყაბულდა, ჩემმა მეუღლემ ანდრეანამ კი ბოლო წერტილი დაუსვა.

იტალიურმა გაზეთებმა „ცხენის კუდის" შეჭრას ლამის ფილოსოფიური მნიშვნელობა მიანიჭეს: „რობერტო ბაჯომ ეპოქა დასასრულთან მიიყვანა" — აცხადებდა, დიდი სათაურით, „გაძეტა დელო სპორტი".

„ჩვენ ახალ ეტაპზე უნდა ვილაპარაკოთ" — ამტკიცებდა „ლა რეპუბლიკა" და დასძენდა:

— ეს აუცილებლობის გამო არ მომხდარა. ანდრე აგასის და ჯანლუკა ვიალის თმა სცვიოდათ და სანამ ამას ხალხი შენიშნავდა, გადაიხოტრეს, აქ კი რაღაც უფრო დიდი ამბავია. უფრო დიდი, ვიდრე ის, რუუდ გულიტმა ცნობილი ნაწნავები რომ შეითხელა... „ცხენის კუდი" ხომ ლიტერატურის ნაწილად იყო ცნობილი".

— არა, თავიდან ვერ მოვიზრდი. ამას ძალიან დიდი დრო დასჭირდება. ამიერიდან, თუ გნებავთ, მეზღვაური დამიძახეთ — ასეთი გახლდათ მეზღვაურივით გახოტრილი ბაჯოს ბოლო სიტყვა.

**გიგა ძოგახიძე**

## ფეხბურთის რუკასთან



ბრაზილიის „კორინთიანსის" მწვრთნელი ნელსინიო კვირაში მესამე, ახალი ჩემპიონატის დაწყებიდან ანუ ივლისიდან კი მეექვსე განთავისუფლებული მწვრთნელია. ნელსინიოს გაშვების მიზეზად კლუბის მეექვსე ადგილზე ყოფნას ასახელებენ. არადა, სეზონის წინ „კორინთიანსმა" ახალ ფეხბურთელებში 20 მილიონი დოლარი დახარჯა. ამ კლუბის გარდა მწვრთნელები „კრუზეირომ", „ფლუმინენსემ", „გრემიომ", „გოიასმა" და „ატლეტიკო მინეირომ" შეიცვალეს.

**შვედეთის მე-18 ტური. აიკი — ორგრიტე 1:1, დეგერფორსი — ერგბრუ 1:2, ელფსბორგი — ოსტერი 4:1, გოტებორგი — ნორჩიოპინგი 4:0, ჰალმშტადი — ჰელსინგბორგი 3:1, მალმიო — ლიუნგსკილე 1:1, ვესტეროსი — ტრელებორგი 0:2. 37 ქულით ლიდერობს გოტებორგი, მეორეა ჰალმშტადი — 36.**

არგენტინელმა დიეგო მარადონამ განაცხადა, ვფიქრობ, ნაკრებში მოხვედრის არანაირი შანსი არ მაქვს, იმდენი ნიჭიერი ფეხბურთელი გვეზრდებაო. დიეგომ ისიც თქვა, მსოფლიოს ჩემპიონატში თამაშის დიდი სურვილი კი მაქვს, მაგრამ ახლანდელი ფორმით, საეჭვოა, ნაკრებს გამოვადგეო.

**პორტუგალიის სუპერთასის პირველ შეხვედრაში „ბოავიშტამ" თანაქალაქელ „პორტუს" 2:0 მოუგო. გოლები მეორე ტაიმში კვამემ და ტიმოფტემ შეაგდეს. საპასუხო შეხვედრა 10 სექტემბერს გაიმართება.**

დანიის მე-4 ტური. ოლბორგი — სილკებორგი 2:2, აბ — ოდენსე 2:1, ორჰუსი — კოპენჰაგენი 1:3, ბრონდბიუ — ჰარფოლგე 5:1, იკასტი — ფრიმადი 2:1, ვაილე — ლუნგბიუ 1:0. 12 ქულით ლიდერობს ბრონდბიუ.

**სომალიში, ქალაქ მოგადიშოში, ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩი მიმდინარეობდა. მსაჯმა მასპინძელთა კარში პენალტი დანიშნა, ამ დროს კი დასჯილთა იარაღიანი გულშემატკივარი წამოხტა და უაზროდ ატეხა სროლა, რითაც ექვსი კაცის სიცოცხლე შეიწირა. ფეხბურთელებმა გასახდელში ძლივს შეასწრეს, თუმცა სტუმართა გუნდის მეკარე საჯდომში მაინც დაიჭრა. დამნაშავე ვინმე სალად ფარა ჰასანი გამოდგა.**

სლოვენიის მე-4 ტური. რუდარი — მურა 1:2, მარიბორი — ოლიმპია 2:0, პრიმორიე — პუბლიკუმი, 4:2, ვეჩე — გორიცა 0:4, ბელტინჩი — კოროტანი 1:1. 9 ქულით ლიდერობენ გორიცა და პრიმორიე.

**იუგოსლავიის მე-2 ტური. რადი — ზელეზნიკი 0:1, ჰაიდუკი — პროლეტერი 2:1, მლადოსტი — ზემუნი 0:0, ობილიჩი — ვოივოდინა 1:0, პარტიზანი — ჩუკარიჩკი 1:0, ბუდუჩნოსტი — ცრვენა ზვეზდა 1:1. 6 ქულით ლიდერობენ პარტიზანი და ობილიჩი.**

ჩეხეთის მე-3 ტური. კაუჩუკი — ბანიკი 3:3, ტეპლიცე — ვიქტორია (პლზენი) 1:0, სპარტა — ჩესკე ბუდეიოვიცე 3:1, ბობი — სლავია 0:2, იაბლონეცი — ლაჟნე 1:0, ჰრადეცი — სლოვანი (ლიბერეცი) 1:0, სიგმა — ვიქტორია (ჟიჟკოვი) 2:0, პეტრა — დუკლა 4:1. 9 ქულით ლიდერობს სპარტა.

**ხორვატიის მე-3 ტური. კროაცია — ოსიეკი 2:0, ჰაიდუკი — შიბენიკი 3:0, რიეკა — მლადოსტი 2:0, ზადარკომერცი — ზაგრები 0:1, დრაგოვილიაცი — სლავენი 6:2, შამობორი — ვარტექსი 3:2. 9 ქულით ლიდერობს კროაცია.**

სლოვაკეთის მე-3 ტური. სპარტაკი (ტრნავა) — სლოვანი (ბრატისლავა) 4:0, ხემლონი — კოშიცე 0:3, ლოკომოტივა — ბარდეიოვო 3:1, რუზომბეროკი — დუკლა (ბანსკა ბისტრიცა) 0:0, ტაურისი — პეტრიმექსი 0:0, ჟილინა — დუნაისკა სტრედა 1:0, ინტერი — არტმედია 2:1, ტატრანი — ტრენჩინი 0:0. 9 ქულით ლიდერობს სპარტაკი (ტრნავა).

**რუსეთის ფეხბურთის ასი წლის იუბილე ამ ქვეყნის ეროვნულმა გუნდმა გუშინ მსოფლიოს ნაკრებთან მარცხით აღნიშნა — 0:2. იუბილართა კარში გოლები ჯორკაეფმა და ბერგერომ გაიტანეს.**

ინგლისური „ტოტენჰემი" „მიუნხენ 1860"-ის პოლონელი პიოტრ ნოვაკით დაინტერესებულა. ნოვაკსა და ინგლისელებს შორის სიტყვიერი შეთანხმება მიღწეულიც ყოფილა. გერმანელები 2 მილიონ დოლარს ითხოვენ.

**ჰოლანდიის სუპერთასი ზედიზედ მეორედ მოიგო „ეინდჰოვენმა". ამჯერად მან თასის მფლობელი კერკრადეს „როდა" სძლია 3:1.**

არგენტინელმა დანიელ პასარელამ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში ჩილესთან სათამაშოდ დაუძახა ბატისტუტას, ვინაც ნაკრებში ბოლოს იანვარში, ურუგვაისთან ითამაშა.

**რუსეთის ნაკრების ფორვარდმა სერგეი იურანმა განაცხადა, ნაკრებში აღარ ვითამაშებო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალთხილამურები

# მარქსიზმ-ლენინიზმი, «პრავდა» და ქართული წყალთხილამურები

ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს უფროსს გურამ დოლბაიას და ამავე ქალაქის ჩაის კომბინატის დირექტორს რომან მელიას წყალსათხილამურო სპორტზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. კი, ბატონო, მდინარე კაპარჭინაზე ორივეს ხშირად ენახა ქართველ და უცხოელ ნიჩბოსანთა ვარჯიში, ნავისაც უწყოდნენ და ნიჩბისაც, მაგრამ წყლის თხილამურები... გამოხდა ხანი და სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი საქართველოში წყალსათხილამურო სპორტს. მე-



მიშა ახალაძის ფოტო

რე კი რომან მელიას თაოსნობითა და სპორტის ჩინოვნიკების შემწეობით ფოთში წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატიც ჩატარდა — ყველაზე მასშტაბური ასპარეზობა, რაც კი დღემდე გამართულა საქართველოში. ეს ყველაფერი კი ასე დაიწყო:

რომან მელიამ ფოთის სპორტულ მაღაზიაში შემთხვევით წყალთხილამურები ნახა, იყიდა. მერე გურამ დოლბაიას დაურეკა. მათ ერთი მოძველებული კატარღაც მოიძიეს. მოცალეობის ჟამს მალთაყვაში პატარა ტბას ესტუმრებოდნენ ხოლმე და თხილამურებით დასრიალებდნენ. იმდენად გაუტკბათ წყალთხილამურები, რომ სიჭარმაგეში კინაღამ სპორტსმენობა დაიწყეს, მაგრამ ბელარუსის წყალმოთხილამურეთა ნაკრების მწვრთნელის ვიქტორ ნოვოჟილოვის ფოთში ჩამოსვლამ მეგობრებს გეგმები შეუცვალა. ნოვოჟილოვი გაოცებული დარჩა ფოთის კლიმატური პირობებით. დაარწმუნა მელია და დოლბაია, რომ მალთაყვაში წყალმოთხილამურეთა საუკეთესო ბაზა გაშენდებოდა, თუკი ვინმე მოინდომებდა ამ საქმის გაკეთებას. პერსპექტივაც შესაშური ექნებოდა ამ ბაზას — ფოთში ხომ წლის განმავლობაში 9-10 თვეს შეიძლებოდა ვარჯიში, რადგან იქ ზამთრობით წყალი არ იყინებოდა. ამგვარი საშუალება კი ევროპის არც ერთ ქვეყანას არ ჰქონდა, სადაც წყალსათხილამურო სპორტი იყო განვითარებული. რაკი ეს გაიგეს, დოლბაიამ და მელიამ მოსვენება დაკარგეს, ნოვოჟილოვის წასვლისთანავე საქმეს შეუდგნენ და ფოთში წყალთხილამურების დანერგვას მიჰყვეს ხელი. იმდროისთვის მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის რექტორი შალვა პაპიძე გაზეთ „პრავდის“ რედაქტორ ვიქტორ აფანასიევთან მეგობრობდა. აფანასიევი საბჭოთა კავშირის წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარე იყო. თავის მხრივ პაპიძე გურამ დოლბაიასთან მეგობრობდა. ჰოდა, წრეც შეიკრა: საქართველოს წყალმოთხილამურეთა ფედერაცია შეიქმნა, მის თავმჯდომარედ შალვა პაპიძე დაინიშნა, პაპიძემ კი ამ დღიდან აღარ მოასვენა თავისი ჩრდილოელი მეგობარი — მოხშირდა აფანასიევის კაბინეტშიც თბილისური სატელეფონო ზარები თუ ქართველთა სტუმრობა. რისი გაკეთებაც შეეძლო, ყველაფერი გამოგლიჯეს მას ხელიდან ჩვენებურებმა, რომან მელიამ და გურამ დოლბაიამ არც ქართველ ჩინოვნიკებს აყარეს კარგი დღე. ქვეყანა შეძრეს, არც თვითონ მოისვენეს, არც სხვა მოასვენეს და ბოლოს ფოთში დაიწყო მსოფლიოს სტანდარტების დარი წყალმოთხილამურეთა კომპლექსური ბაზის მშენებლობა: პატარა ტბა დიდ „ოქროს ტბად“ იქცა თავისი ტრამპლინით, აშენდა სასტუმრო, რესტორანი. „ოქროს ტბა“ ხიდმა დაამშვენა. მოკლედ, საბჭოთა კავშირის პირობებისთვის სარეკორდოდ მოკლე დროში ისეთი ბაზა გამოვიდა, ნებისმიერი რანგის წყალმოთხილამურეთა ტურნირს რომ შეურცხვენლად უმასპინძლებდა. მშენებლობის პარალელურად საქართველოში წყალმოთხილამურეთა გუნდებიც შეიქმნა, ქვეყნის ნაკრებსაც ჩაეყარა საფუძველი და ჩვენმა ახალბედა სპორტსმენებმა ნელ-ნელა ევროპულ სარბიელზეც გაითქვეს სახელი — რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს, ხათუნა კორკელიამ კი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ჩემპიონატიც მოიგო.

ამ დროისთვის წყალმოთხილამურეთა ფედერაციას უკვე რომან მელია თავკაცობს. მელია, აბა, რის მელიაა, ასეთი უნაკლო ბაზა მარტო საბჭოთა კავშირის ნაკრებების საჯიჯგნად და შინაური (მაშინდელი საკავშირო) ჩემპიონატების ამარა დაეტოვებინა. რომან მელიამ, რაკი ბაზის აშენება დასასრულს მიუახლოვდა, ისეთი მიზანი ამოიჩრა გულში, რა დასამალია და, ზოგიერთი რუსი ჩინოვნიკი თავხედურსაც უწოდებდა. დიახ, მელიამ ფოთში ევროპის ჩემპიონატის გამართვა დააპირა. ეს მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის მაშინდელ თავკაცებს ამისთვის მოსკოვის სიახლოვეს მდებარე ცნობილი კრილატსკოეს საწყალოსნო კომპლექსი ჰქონდათ შეგულებული. აქ ისევ აფანასიევმა იყოჩაღა — რომან მელია წყალმოთხილამურეთა ევროპის ფედერაციის პრეზიდენტს, ინგლისელ ობრი შინას დააკავშირა. აქაც იაქტიურეს ქართველებმა, ინგლისელი ჯენტლმენიც დაიმეგობრეს და ფოთში ევროპის ჩემპიონატის გამართვის ნებაც დასტყუეს. ჩემპიონატის გამართვის დროდ კი შუა აგვისტო დათქვეს.

მოკლედ, აქ დავასრულებ ამ ისტორიას, რადგან თავშივე აღვნიშნე, რომ ფოთში ევროპის ჩემპიონატი გაიმართა, რასაც ქართველთა მხრიდან უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა. ჩემპიონატიც ისეთივე მაღალი დონისა იყო, როგორც მისი მასპინძელი სპორტული ბაზა. მართალია, ამ ჩემპიონატზე ქართველ წყალმოთხილამურეებს თავი არ გამოუჩენიათ (ჩვენგან საუკეთესო ხათუნა კორკელია გახლდათ — VII ადგილი ტრამპლინიდან ხტომაში), მაგრამ ამ ეტაპზე მთავარი სხვა რამ იყო — ჩემპიონატის ჩატარებითა და ბაზის არსებობით ფოთში ყველა პირობა შეიქმნა საქართველოში წყალსათხილამურო სპორტის მაღალ დონეზე გასავითარებლად. ფოთელებს, რა თქმა უნდა, მერე სხვა ზღვისპირა ქალაქების სპორტის მესვეურნიც მიბაძავდნენ და, რომ დასცლოდა რომან მელიასა და კომპანიას, სადღეისოდ ქართველი წყალმოთხილამურენი ევროპულ და მსოფლიოს მედლებს დანატრებულნი არ იქნებოდნენ, დაცდით კი ვინ დააცადა.

ფოთში ევროპის ჩემპიონატი 1991 წლის 19 აგვისტოს დასრულდა. გემახსოვრებათ, სწორედ ამ დღეს მოაწყვეს პუტჩი მოსკოვში. ეს ის დროა, თენგიზ კიტოვანმა რკონის ხეობას რომ მიაშურა და ქართველობა ორად გაიყო. ქვეყანა აირია, საქართველო ომმა და ქაოსმა მოიცვა, თავად ფოთი 8-ჯერ გადავიდა ხელიდან ხელში — ხან ოპოზიციის ჯარები შედიოდა ქალაქში და ხანაც ფაქტობრივი ხელისუფლებისა. ამ აღებ-მიცემობისას მალთაყვის ბაზასაც ესტუმრნენ ორივე მხარის მეომრები, მასაც დაეტყო ომის მსახვრალი ხელი. რაღაც-რაღაცეები დაიკარგა, რაღაცა დაინგრა და დაიწვა. თუმცა, უმთავრესი მაინც გადარჩა და, რაც მთავარია, ფედერაციამ სამივე კატარღა შეინარჩუნა. ახლა ნელ-ნელა დაიწყო საქართველოში წყალსათხილამურო სპორტის აღორძინება, რა თქმა უნდა, ფოთიდან. ამის დასტურად კი გენადი გურალიას წლევანდელი გამარჯვებებიც გამოდგება — მან ჯერ მინსკში მოიგო ესენგეს ჩემპიონატი, შემდეგ კი მოსკოვის ღია ჩემპიონატში იძალა, სადაც ავსტრიელებს დანიელ დობრინგერსა და ფრანც ობერლაიტნერს აჯობა. არადა, ამ ორმა ავსტრიელმა ათენის ევროპის ჩემპიონატზე II-III ადგილები გაინაწილეს. გენადი გურალიას გარდა არიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთაც ხელშეწყობა თუ ექნებათ, უთუოდ მიაღწევენ დიდ წარმატებებს. სამწუხაროდ, იმ არეულობაში ორი პერსპექტიული სპორტსმენი დავკარგეთ — ხათუნა კორკელიამ მიატოვა სპორტი, ხოლო ვასილ ბუდუროვის ასავალ-დასავალი ჩვენში არავინ იცის.

იმასაც ამბობენ, მალთაყვის წყალსათხილამურო ბაზა სახელგანთქმულ ფლორიდის ბაზას არ ჩამოუვარდებაო. ეს კი იმას ნიშნავს, ვთქვათ, საქართველოს ეროვნულმა სტადიონმა ტოლი არ დაუდოს „უემბლის“, „მარაკანასა“ და „ნოუ კამპის“ ცნობილ სტადიონებს. უბრალოდ, თუ დღესდღეობით ფლორიდული ბაზა მაინც სჯობს ჩვენსას, იმიტომ, რომ ფლორიდელები ფოთელებივით ავტომატიანი მოძალადეებისაგან არ იცავდნენ თავიანთ ბაზას. როცა ფოთში ომი იყო გაჩაღებული, მაშინ ფლორიდელები უკვე მსოფლიოს სტანდარტების შესაფერის ბაზას უფრო ხვეწდნენ და სრულყოფდნენ. მოკლედ, მივადექი სათქმელს — ფულია საჭირო, რომ მალთაყვის კომპლექსმა კუთვნილი ადგილი დაიკავოს მსოფლიოს წყალსათხილამურო სპორტში. ფულია საჭირო, რომ ქართველმა წყალმოთხილამურეებმა ასევე ღირსეულად იასპარეზონ დიდ შეჯიბრებებზე. რომან მელიას საწყაოთი წელიწადში 150 000 ლარია საჭირო, რომ სპორტის ეს სახეობა ფეხზე დადგეს. არადა, ბიუჯეტში წყალმოთხილამურეებისთვის 18 000 ლარია გათვალისწინებული, ჯერჯერობით კი მხოლოდ 4 000 ლარი აქვთ მიღებული. ეს 150 000 მარტო ფოთის კომპლექსსა და იქაურ სპორტსმენებს არ მოხმარდებათ, ამით მალთაყვის ბაზასაც ავაღორძინებთ, თბილისსა და რუსთავშიც ჩავუყრით საფუძველს წყალსათხილამურო სპორტს. პერსპექტივაში ფედერაცია ბათუმშიც აპირებს სპორტის ამ სახეობის დანერგვას. იქ უკვე დაწყებულია ბათუმის „პიონერთა ტბად“ ცნობილი პატარა ტბის გაწმენდა-დასუფთავება, სამომავლოდ უფრო მნიშვნელოვანი სამუშაოებიც დაიწყება. იმედია, ამ საშურ საქმეს მალე დადგება საშველი.

რაც მთავარია, წყალსათხილამურო სპორტი მეტად მომგებიანია. ხშირად იმართება კომერციული ტურნირები, სპონსორებიც სიამოვნებით აბანდებენ ფულს მათს შეჯიბრებებში, რადგან, იციან, დღეს სპორტისთვის გაღებული კაპიკები ათმაგად დაუბრუნდებათ. ოღონდ, მაპატიონ ქართველმა ბიზნესმენებმა, ამჯერად მხოლოდ უცხოელებზე ვსაუბრობ. გარდა ამისა, რუსეთისა და ბელარუსის წყალმოთხილამურეთა ფედერაციების თავკაცები დღესვე თანახმანი არიან, თავიანთი ნაკრებების მუდმივ შეკრებების ადგილად ფოთი დაიგულონ, თუკი მალთაყვის ბაზაზე სპორტსმენთა მომზადების ძველებური პირობები დახვდებათ. უფროსი ძმები კი ძველებურად მუქთად ვერ ივარჯიშებენ, ახლა მათ ფულს გადავახდევინებთ. ეს ფული კი ისევ საქართველოს, კერძოდ მალთაყვის ბაზას მოხმარდება. ამას კი საქართველოში წყალსათხილამურო სპორტის აღორძინება მოჰყვება.

მოკლედ, „ოქროს ტბაში“ ფულის გადამყრელი არ ინანებს — ფული ოქროდ დაუბრუნდება.

**ლევან ჯავახიშვილი**

# სარბიელი
## სპორტული ლატარია
## “CROCO”

**მსოფლიოს ჩემპიონატი.** შესარჩევი მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 19 აგვისტო | | | |
| ლიხტენშტაინი — ისლანდია | 8,0 | 4,7 | 1.15 |
| 20 აგვისტო | | | |
| ბოსნია — დანია | 3,2 | 3,0 | 1,8 |
| ფინეთი — ნორვეგია | 4,7 | 3,1 | 1,5 |
| უნგრეთი — შვეიცარია | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ესტონეთი — ავსტრია | 8,0 | 4,0 | 1,1 |
| ბელარუსი — შვედეთი | 5,3 | 3.2 | 1,4 |
| ბულგარეთი — ისრაელი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| ჩეხეთი — ფარერები | 1,01 | 7,0 | 16,0 |
| 0:3 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| თურქეთი — უელსი | 1,25 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| ირლანდია — ლიტვა | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| რუმინეთი — მაკედონია | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ჩრდილო ირლანდია — გერმანია | 6,5 | 3,4 | 1,3 |
| პორტუგალია — სომხეთი | 1,01 | 7,0 | 16,0 |
| 0:2 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| უკრაინა — ალბანეთი | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| კოლუმბია — ბოლივია | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ეკვადორი — პარაგვაი | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| ურუგვაი — ჩილე | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ვენესუელა — პერუ | 6.5 | 3,4 | 1,3 |
| **ამხანაგური მატჩი** | | | |
| 20 აგვისტო | | | |
| რუსეთი — იუგოსლავია | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| **ესპანეთის სუპერთასი.** I მატჩი | | | |
| 20 აგვისტო | | | |
| ბარსელონა — რეალი | 1,7 | 2,9 | 3,8 |
| **ჰოლანდიის ჩემპიონატი.** I ტური | | | |
| 19 აგვისტო | | | |
| აიაქსი — ვიტესი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ტვენტე — სიტარდი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| 20 აგვისტო | | | |
| როდა — უტრეხტი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| სპარტა — გრააფსხაპი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| ტილბურგი — ნაიმეგენი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| ეინდჰოვენი — ვალვაიკი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ჰერენვენი — ბრედა | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| გრონინგენი — ვოლენდამი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| 21 აგვისტო | | | |
| მაასტრიხტი — ფეიენოორდი | 6,0 | 3,6 | 1,3 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ოლიმპიადა 2004

# რომი ათენს დასცინის

2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაზე ცილობამ რომსა და ათენს შორის ურთიერთობა ისე დაძაბა, რომ მეტოქენი, განსაკუთრებით კი ბერძნები, ლამის უკადრებელს კადრულობენ. გუშინწინ საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თეოდოროს პანგალოსმა განაცხადა, რომში და, საერთოდ, იტალიაში ასეთი დონის ტურნირების გამართვა მიზანშეუწონლად მიმაჩნია, რადგან აპენინებზე სიცილიელი მაფიოზები მძვინვარებენო. ამის საპასუხოდ სიცილიაზე ტურიზმის ხელმძღვანელმა ანტონიო სტრანომ თქვა, თუ პანგალოსს ჩვენთვის ზიანის მოყენება უნდა, ისეთ რამეს მაინც ნუ ამბობს, სიცილიელებს სიცილით რომ გვკლავსო. სტრანომ დასძინა, სიცილია ახლა მსოფლიოს სტუდენტთა თამაშების სამასპინძლოდ ემზადება და ძალიან მაინტერესებს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ამდენ ახალგაზრდას საფრთხეში რატომ აგდებსო. სტრანოს მხარი აუბა სიცილიის დედაქალაქად წოდებული პალერმოს მერმა ლუკა ორლანდომაც — პანგალოსის ლაპარაკს რომ ვუსმენ, ასე მგონია, იგი 60-იან წლებში ჩარჩაო: „ის დრო, როცა მაფიოზთა გავლენა უსაზღვრო იყო, ისტორიას ჩაბარდა. ახლა არანაირი სროლა და ქუჩაში მკვლელობები აქ აღარ ხდება“. მან იქვე ისიც განაცხადა, ოლიმპიადის მასპინძლად რომს მარტო იმიტომ დავასახელებდი, ათენთან შედარებით თანამედროვე სატრანსპორტო კომუნიკაციები რომ აქვსო: „ახლახან მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გახლდით და, რომ იტყვიან, დავიტანჯე ტრანსპორტის მომსახურებით. უბრალოდ გეტყვით — ბერძნები იტალიელებს ამ საქმეში მეტი თუ არა, 30 წლით მაინც ჩამორჩებიან.“

**ლევან ჩხეიძე**

# ფულზე ბევრს ლაპარაკობენ

საკიკის გახმაურებულმა ამბებმა ერთობ გაგვიტაცა და ლიგაში მიმდინარე სხვა მოვლენები მიგვავიწყა. არადა, ამასობაში სხვა ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილებაც მოხდა.

ძალიან აქტიურობს ვანკუვერი. მესიეს შეძენის შემდეგ გუნდის ხელმძღვანელობამ კიდევ ორი ახალი მოთამაშე მიიწვია. ადრეც გაუწყეთ, რომ დალასში ცნობილ გოლკიპერ ენდი მუგის გადასვლის შემდეგ იქ ოთხმა ძლიერმა მეკარემ მოიყარა თავი. მაშინვე ვივარაუდეთ, რომ ვეტერანი მუგი და ლატვიელი ირბე კლუბს შეიცვლიან. ასეც მოხდა — მუგი მონრეალში გადავიდა, 32 წლის ირბემაც ვანკუვერთან მოაწერა ერთწლიან კონტრაქტს ხელი. ვფიქრობთ, ლატვიელი ახალ გუნდში ძირითადი გოლკიპერის ფუნქციას შეასრულებს, რადგან მისი კოლეგები — მაკლინი და ჰირში დიდი სტაბილურობით არ გამოირჩევიან.

ირბესთან ერთად ვანკუვერმა გამოცდილი მცველი გრანტ ლედიარდიც შეიძინა, რომელმაც წინა სეზონი დალასში გაატარა. ეს შედეგიანი მცველი უდავოდ გააძლიერებს კლუბის დაცვას.

არ წყდება მითქმა-მოთქმა იმის თაობაზეც, რომ ვანკუვერმა, შესაძლოა, ერთ-ერთი თავისი სუპერვარსკვლავი გაყიდოს ან გადაცვალოს. კლუბში ბევრი ძვირადღირებული მოთამაშეა, მაგრამ ამის რეალურ კანდიდატად რუს მოგილნის მიიჩნევენ. როგორც ამბობენ, არც ის არის გამორიცხული, რომ იგი თავის რეინჯერსელ თანამემამულე კოვალიოვზე გაცვალონ ნიუ-იორკში.

ამასთან ერთად ვანკუვერმა ტორონტოს ხელიდან გამოჰგლიჯა ძალზე პერსპექტიული მცველი, 20 წლის შვედი მატიას ოლუნდი. ამ უკანასკნელზე წინა მიმოხილვაში გაცნობეთ, რომ ტორონტოსთან შეთანხმდა, მაგრამ ვანკუვერს კიდევ ჰქონდა მისი დაბრუნების შანსი, თუ თავის კონკურენტზე უფრო ხელსაყრელ პირობებს შესთავაზებდა. მან ეს შეძლო და ოლუნდმაც ვანკუვერთან ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. საინტერესოა, რომ მატიასმა უკვე მოასწრო მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლა და პირველობის მეორე სიმბოლურ ნაკრებშიც შევიდა.

სხვათა შორის, წელს ახალგაზრდა მოთამაშეებისადმი ძალიან დიდი ინტერესია. მაგალითად, ივნისში ჩატარებული დრაფტის პირველი რაუნდის სამმა მონაწილემ ახალ კლუბთან მოაწერა ხელი. თავდაპირველად ფინელი ოლი იოკინენი (დრაფტის მე-3 ნომერი) ამოირჩია ლოს ანჯელესმა, შემდეგ სლოვაკმა ჰოსამ (14) ოტავასთან გააფორმა ხელშეკრულება. ბოლოს დრაფტის პირველი ნომრის, 18 წლის ჯო ტორნტონის ჯერი დადგა. ამ ერთობ პერსპექტიულმა მოთამაშემ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ბოსტონთან. იგი პირველ სეზონში პრემიალურებთან ერთად 3 მილიონ დოლარს მიიღებს. კონტრაქტის ძირითადი თანხაც — 925 ათასი დოლარი, მაქსიმალურია ამ ასაკის მოთამაშეთათვის. ბოსტონი მალე რუს სამსონოვთანაც (დრაფტის მე-8 ნომერი) აპირებს შეთანხმების გაფორმებას.

საინტერესოა, რომ შარშანდელი დრაფტის შემდეგ მხოლოდ ორმა ჭაბუკმა მოთამაშემ — ლიტველმა ზუბრასმა (15) და ბელარუსმა სალეიმ (21) მოასწრეს ლიგაში გამოსვლა, მაშინ როცა დრაფტის პირველი ნომერი, მცველი კრის ფილიპსი აქამდე უარს აცხადებს მასზე უფლებების მქონე ოტავაში თამაშზე.

გააქტიურდა პიტსბურგიც — ერთწლიანი პაუზის შემდეგ გუნდს კვლავ დაუბრუნდა ჩეხი ცენტრფორვარდი მარტინ სტრაკა, რომელიც ფლორიდაში უნიათოდ ჩატარებულ სეზონამდე სამი წელი „პინგვინების“ ღირსებას იცავდა. სტრაკა ტექნიკურ და კომბინაციურ მოთამაშედ არის ცნობილი (კარიერაში 58 შაიბა, 114 პასი) და, ალბათ, თავის გაცილებით ცნობილ თანამემამულე იაგრთან შემხანაგდება, მით უმეტეს, რომ ამ ორ ფორვარდს უკვე უთამაშია ერთ სამეულში პიტსბურგშიც და ეროვნულ ნაკრებშიც.

როგორც იქნა, დამთავრდა მწვრთნელთა გაცვლა-გამოცვლის ეპოპეა. ანაჰაიმის თავკაცობა კალგარის ყოფილმა მწვრთნელმა პიერ პაჟემ იკისრა. ისე კი, ამ გადაადგილების აზრი მაინც გაუგებარი დარჩა — რით სჯობს პაჟე, რომლის მეთაურობის დროსაც კალგარი სულ უფრო და უფრო იძირებოდა, პერსპექტიულ რონ უილსონს? თუმცა, ეს, ალბათ, ანაჰაიმის გენერალურ მენეჯერს ფერეირას ეცოდინება. უილსონი ვაშინგტონში გადავიდა. პაჟე კი უმალვე შეუდგა საქმეს და რამდენიმე დღეში მოაწესრიგა ძირითადი გოლკიპერის — ებერის საკონტრაქტო პრობლემები.

ხელშეკრულებები ჭარბად დაიდო, თავისუფალი აგენტების რაოდენობა კი ჯერ კიდევ დიდია. თანაც, ყველა შემთხვევაში პრობლემები ფინანსურ მხარეს უკავშირდება. ამ მხრივ ძალიან რთული სიტუაცია შეიქმნა აილენდერზში. მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფ ამ კლუბს თითქოს გაუჩნდა ახალი მფლობელი, ბიზნესმენი ჯონ სპანო, მაგრამ იგი ჩვეულებრივი თაღლითი გამოდგა. ლიგის ხელმძღვანელობამ კვლავ აღადგინა ძველი მფლობელის — ჯონ პიკეტის უფლებები. ამასობაში კარგა დრო გავიდა და კლუბის ძირითადი მოთამაშეები ჯერჯერობით უკონტრაქტოდ დარჩნენ.

კალგარიში კი ძალზე სავალალო სიტუაცია შეიქმნა ცენტრალური თავდამსხმელების პოზიციაზე — განიემ კლუბი დატოვა, ხოლო ნიულანდერსა და გეივისთან მოლაპარაკება ჩიხში შევიდა. ვერაფრით მოგვარდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშის კონტრაქტის საქმეც.

ვერაფრით მოილაპარაკეს თავიანთ კლუბებთან დუგ გილმორმა (ნიუ-ჯერსი), ადამ ოუთსმა (ვაშინგტონი), სერგეი ფიოდოროვმა (დეტროიტი) და ალფრედსონმა (ოტავა). ანაჰაიმელი სუპერვარსკვლავი პოლ კარია კი თავისი აგენტების პირით წელიწადში 7 მილიონ დოლარს ითხოვს. ამის შემყურე ფილადელფიელმა ლინდროსმაც იფიქრა, იფიქრა და თავისი უკვე მოქმედი კონტრაქტის განახლება მოითხოვა ხელფასის სოლიდური თანხით გაზრდის მიზნით. მოკლედ, კლუბის მესვეურთ ბევრი თავსატეხი ელით.

და ბოლოს, ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია: მიუხედავად იმისა, რომ ნეშვილი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შეუერთდება ლიგას, კლუბს უკვე დაენიშნა მწვრთნელი — 44 წლის ბელი ტროცი, რომელიც ადრე ნჰლ-ს ერთ-ერთი ქვედა ლიგის გუნდს ხელმძღვანელობდა.

**სამველ ლარიბიანი**

# ტამპა ბეის საქმე გაურჩიეს

ნჰლ-ს კლუბმა „ფილადელფია ფლაიერსმა“ ახალშეძენილი ცენტრის — კრის გრეტონის თაობაზე გაუგებრობა რომ იგუმანა, სასამართლოს მიმართა. ფილადელფიელებმა „ტამპა ბეის“ თავდამსხმელი რამდენიმე კვირის წინ შეიძინეს თავისუფალი აგენტის სტატუსით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პარალელურად „ტამპა ბეიმ“ გრეტონი „ჩიკაგო ბლექჰოუქსს“ მიჰყიდა 16 მილიონ 500 ათას დოლარად. საქმეში სათანადოდ გარკვევის შემდეგ მოსამართლე ჯონ სენდსმა დაადგინა, რომ „ტამპა ბეიმ“ „ფილადელფია ფლაიერსს“ ან მოთამაშე უნდა მიჰგვაროს, რაც თავისთავად ჩიკაგოელთათვის 16,5 მილიონი დოლარის დაბრუნებას ნიშნავს, ანაც დრაფტში ხუთი მოთამაშის არჩევას უფლება მისცეს.

# სტენლის თასის ხანმოკლე ვიზიტი მოსკოვში

ჰოკეის უპრესტიჟულესი ჯილდო „სტენლის თასი“ წლევანდელი გამარჯვებულის „დეტროიტ რედ უინგზის“ სამმა რუსმა მოთამაშემ — ვიაჩესლავ ფეტისოვმა, ვიაჩესლავ კოზლოვმა და იგორ ლარიონოვმა რუსეთში თასის ჩატანის ექსკლუზიური უფლება მიიღეს. ეს თითქმის მეტრიანი ვერცხლის თასი რუსეთის დედაქალაქში სამ დღეს იქნება.





ზანარდის გამარჯვება გაუტკბა: იგებს დარშიც და ავდარშიც

# ზანარდი ბოქსებშიც იგებს

CART

CART-ის მორიგი ეტაპი „ტექსაკო-ჰავოლინ-200“ ელკერტ-ლეიკის 14 მოსახვევიან ტრასაზე გაიმართა და კვლავ ალექს ზანარდის გამარჯვებით დასრულდა. ამ ტრიუმფის შემდეგ იტალიელი პილოტი საერთო ჩათვლაში 38 ქულით დაწინაურდა და ძნელი წარმოსადგენია, დარჩენილ რბოლებში პირველობა დაკარგოს.

პარასკევს პირველი საკვალიფიკაციო რბოლა „ჰაკ-ვესტის“ გუნდის პილოტთა უპირატესობით ჩატარდა. ყველაზე სწრაფი მაურიციო გუჟელმინი გახლდათ — 142,342 მილ-სთ. მეორე ბლანდელი იყო 142,242 მილ-სთ. ორივემ ვილნევის რეკორდი 142,206 მილ-სთ (1995 წ.) გააუმჯობესა. მესამე ზანარდი გახლდათ 142,110, ხოლო მეოთხე პოზიცია წლევანდელმა ახალბედამ შოტლანდიელმა ფრანკიტიმ მოიპოვა 141,912; კვლავ სუსტად გამოვიდნენ „პენსკეს“ პილოტები. ანსერი, რომელიც შარშან აქ ბოლო წრემდე ლიდერობდა და ძრავის აფეთქების გამო დაკარგა პირველობა, 14-ე გახლდათ (140,358 მილ-სთ), ხოლო ტრეისიმ 140,096 მილ-სთ სიჩქარით მომდევნო ადგილი დაიკავა. პატრიკ კარპენტიემ და ჰირო მაცუშიტამ კი კვალიფიკაციის შეწყვეტა გამოიწვიეს ავარიებით. დილის ვარჯიშებზე კი მური და პაპისი გადაურჩნენ დაშავებას, როდესაც ტრასაზე დაბზრიალებული კანადელის ბოლიდს იტალიელის რეინარდი შეეჯახა.

შაბათს გაწვიმდა და პილოტებმა უკეთესი შედეგების ჩვენება ვერ შეძლეს. უმეტესმა მათგანმა კვალიფიკაციისთვის განკუთვნილი დრო ბოქსებში გაატარა. იმათგან კი, ვინც „საწვიმარი“ საბურავების მოსინჯვა გადაწყვიტა, საუკეთესო მაიკლ ანდრეტი გახლდათ 128,708 მილ-სთ, გუჟელმანის სიჩქარე კი მხოლოდ 90,950 მილ-სთ გახლდათ. მიუხედავად ამისა, გუჟელმინმა თავის კარიერაში მეორე ჯოული მოიპოვა.

განლაგება სტარტზე:

გუჟელმინი (რეინარდ-მერსედესი), ბლანდელი (რეინარდ-მერსედესი), ზანარდი (რეინარდ-ჰონდა), ფრანკიტი (რეინარდ-მერსედესი), ანდრეტი (სვიფტ-ფორდი), პრუეტი (რეინარდ-ფორდი), დე ფერანი (რეინარდ-ჰონდა), ჰერტა (რეინარდ-ფორდი), ბერელი (რეინარდ-ფორდი), მური (რეინარდ-მერსედესი), რაჰალი (რეინარდ-ფორდი), სალეში (რეინარდ-ფორდი), ვასერი (რეინარდ-ჰონდა), ანსერი (პენსკე-მერსედესი), ტრეისი (პენსკე-მერსედესი), რიბეირო (ლოლა-ჰონდა), ჯონსტონი (რეინარდ-ჰონდა), ფიტიპალდი (სვიფტ-ფორდი), ჟურდენი (ლოლა-ფორდი), კარპენტიე (რეინარდ-მერსედესი), ფანხიო (რეინარდ-ტოიოტა), ფერნანდესი (ლოლა-ჰონდა), პაპისი (რეინარდ-ტოიოტა), ჰერნი (ლოლა-ფორდი), ჯონსი (რეინარდ-ტოიოტა), მეიერი (ლოლა-ფორდი), მაცუშიტა (რეინარდ-ტოიოტა), ნებურგი (რეინარდ-ფორდი).

კვირას ძლიერი წვიმის გამო სტარტისთვის მომზადებული 28 პილოტი 2 საათსა და 15 წუთს ელოდა რბოლის დაწყებას.

პირველივე წრეზე ახალბედა ბრაზილიელი სალეში და შარშანდელი ჩემპიონი ვასერი ერთმანეთს წამოედნენ და დაბზრიალებული სალეში შუა ტრასაზე გაიჩხირა. ტრეისიმ, რომელიც სალეშის გვერდის ავლას ლამობდა, „პენსკე“ ვერ დაიმორჩილა და საბურავების ჯებირს შეასკდა. ბრაზილიელმა კი რბოლა განაგრძო და საბოლოოდ მე-13 პოზიციით დაასრულა კიდეც. სტარტიდან დაწინაურებულმა გუჟელმინმა მე-8 წრეზე პირველობა თანაგუნდელ ბლანდელს დაუთმო. როგორც შემდეგ განაცხადა, მცირე შეჭიდულობის გამო სიჩქარის შენარჩუნება უჭირდა. ტრასა ნელ-ნელა შრებოდა და მე-14 წრეზე მაიკლ ანდრეტიმ ბოქსებში შეუხვია „საწვიმარი“ საბურავების „სლიკებით“ შესაცვლელად. ტრასაზე დაბრუნებულს ისიის იყო აცნობეს, ბოქსებში სიჩქარის გადაჭარბებისთვის ჯარიმდებიო, რომ მოცურდა კიდეც ტრასის მიღმა ხრეშში ამოყო თავი და რბოლა დაასრულა.

გალიდერებულმა ბლანდელმა კი პირველობა სამიოდე წრით დაუთმო ჰერტას და შემდეგ კვლავ თავად გაუძღვა პელოტონს. 36-ე წრეზე ზანარდიმ ბოქსებში მხოლოდ საწვავი შეივსო, რითაც მოიგო და ბლანდელს გაასწრო. ბრიტანელი არ შეურიგდა ამას, კარგა ხანს უტევდა იტალიელს, მაგრამ ფინიშამდე სამი წრით ადრე მისი ბოლიდის ძრავს ცეცხლი გაუჩნდა და რბოლას გამოეთიშა.

საბოლოოდ ზანარდიმ თავის „ტარგეტ-ჩიპ განასი რეისინგ“-ის რეინარდით 6,148 წამით აჯობა გუჟელმინს და ამ სეზონში მეხუთედ გაიმარჯვა, ასპარეზობის შემდეგ კი განაცხადა: „რბოლისას რამდენჯერმე შევცდი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს რბოლა ბოქსებში მოვიგე.“

მე-3-მე-4 ადგილები ბრაზილიელებმა დე ფერანმა და ფიტიპალდიმ დაიკავეს; ხოლო არგენტინელმა ფანხიომ მეათე ადგილით მორიგი ქულები მოუტანა „ტოიოტას“ ძრავს, რომელიც ნელ-ნელა კონკურენტუნარიანი ხდება. ასპარეზობა სულ 15 პილოტმა დაასრულა.

ზანარდის ეს გამარჯვება მე-5 იყო „ჰონდასთვის“ (ხუთივე გამარჯვება იტალიელის ანგარიშზეა), „ფაიარსტოუნით“ მოასპარეზე პილოტებმა კი ზედიზედ მერვედ გაიმარჯვეს.

**ალეკო ჩაგუნავა**

რბოლის შედეგები
ელკერტ-ლეიკი, „როუდ ამერიკას“ ტრასა, 17 აგვისტო
„ტექსაკო-ჰავოლინ-200“
დისტანცია 50 წრე — 200 მილი

| | |
|---|---|
| ზანარდი 1:57.54,544 (102,995 მლ-სთ) | 20 ქულა |
| გუჟელმინი | 16 |
| დე ფერანი | 14 |
| ფიტიპალდი | 12 |
| პრუეტი | 10 |
| რაჰალი | 8 |
| ანსერი | 6 |
| ვასერი | 5 |
| ჰერნი | 4 |
| ფანხიო | 3 |
| ჰერტა | 2 |
| ფერნანდესი | 1 |

გუჟელმინმა დამატებითი ქულა მიიღო პოულისთვის; ბლანდელმაც ერთი ლიდერობისთვის.

პირადი პირველობა:

*1. ზანარდი 168 ქულა, 2. ფერანი 130, 3. ტრეისი 121, 4. მური 111, 5. ანდრეტი 108.*



# პოპოვს უყვარს ევროპა და არ უყვარს საზამთრო

ესპანეთში, კერძოდ, სევილიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში შუაწელს უახლოვდება. ამ დღეებში ასპარეზობაში მოცურავეები ჩაებმებიან. მათ შორისაა რუსი ალექსანდრ პოპოვი, რომელსაც თითქმის ერთი წელი იმიტომ გაუცდა, რომ ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ მოსკოვში მავანმა საზამთროს გამყიდველმა დაჭრა. ევროპის, ოლიმპიური და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ამჟამად ავსტრალიაში ცხოვრობს და ვარჯიშობს, თუმცა, როგორც თავად თქვა, იმ კონტინენტზე პირველობას, სადაც პირველი მედალი მოიგო, ზურგს არასოდეს შეაქცევს. პოპოვმა პირველად ათენში იმარჯვა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. იქვე 50 მეტრზე მეორე ოქროც მოიგო. 1994 და 1995 წლებში ამავე დისტანციებზე ოქრო კვლავ არავის დაუთმო. ეგ კი არა, ბარსელონის და ატლანტის ოლიმპიადებზეც იმარჯვა. მიუხედავად მისი ერთწლიანი იძულებითი იზოლაციისა, 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დამყარებული რეკორდი ვერავინ მოხსნა. პოპოვს არც ახლა უნდა გაუჭირდეს კონტინენტის საუკეთესო მოცურავის ტიტულის დაცვა, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე კონკურენტმა იმ საბაბით, გაისად იანვარში მსოფლიოს ჩემპიონატია და იმისთვის ვემზადებით, სევილიაში ასპარეზობაზე უარი განაცხადა. თავად პოპოვმა კი თქვა, თუ რაიმე შეცდომები მექნება, აქვე გამოჩნდება, იანვრამდე კი დიდი დროა და ყველაფრის გამოსწორებას მოვასწრებო: „ყველაზე დიდ მეტოქედ საკუთარი თავი მიმაჩნია. თუ შევძელი და ძველებურად გავცურე, ხომ კარგი, თუ არა, ფორმის რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნებას ვეცდები“.

**კახა არჯევანიძე**



**გუშინ ტალინში დასრულდა სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობები. ქართველი მოჭადრაკეების გამოსვლას, რომელთაც 3 ოქროს და თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, ნამდვილად ეთქმის ფრიად წარმატებული**

# გოგო-ბიჭებმა გვასახელეს

10 წლამდე გოგონებში უძლიერესი იყო ნანა ძაგნიძე, ამ ასაკის ბიჭებში კი დათო ბარამიძემ ვერცხლი მოიპოვა. 14 წლამდე გოგონებში ჩემპიონი გახდა თელაველი ანა მათნაძე. ერთადერთი ჩემპიონი ვაჟი კი ჩვენებიდან 18 წლამდელებში გამარჯვებული მიხეილ მჭედლიშვილია. ამ ასაკის ვაჟებში ეს ჩვენებურის პირველი ოქროს მედალია. ბრინჯაოს მედალი 18 წლამდე გოგონებში ლილე ცალუღელაშვილს ერგო.

საქართველოს ნაკრები 10 მოჭადრაკით გაემგზავრა ევროპის ჩემპიონატზე და აქედან ხუთმა მედალი მოიგო.

**ზურაბ ძალატოზიშვილი**


## იყიდება

თეთრი, გამჭვირვალე

## ორგანული მინა

3 და 4 მილიმეტრიანი.
ზომები: 80x120სმ და 120x170სმ

ფასი შეთანხმებით

ტელეფონი: 95-22-56
38-60-88 (საღამოს საათებში)




# გოგელიას ოქროს შანსი აქვს

ფინეთის ქალაქ ტურკუში მთავრდება ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. თავი გამოიჩინეს ჩვენებურმა ფალავნებმა — კობა ბალავინოვმა (49 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო თამაზ გოგელია (115) ფინალში გავიდა და ჩემპიონობის მოპოვების შანსი აქვს.

**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „ბეა“**

# სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

დღეს, 14 საათზე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სათათბირო დარბაზში პრესკონფერენციას გამართავს საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი რომან მელია.


## იყიდება

დიღმის მასივის III კვარტალში 4-ოთახიანი სუფთა ბინა, ტელეფონით, სარდაფით, ორი სველი წერტილით.

ფასი შეთანხმებით

95 82 53 10-18 სთ.
72 37 22 18 სთ. შემდეგ

იკითხეთ პავლე

# რაგბი




ბედნიერმა შონ ფითსპატრიქმა ერთბაშად ორი თასი აწია: ერთი, ვეება — ბლედისლოუსი, 1931 წელს რომაა დაწესებული, მეორე კი — სამეულის სერიალისა, პირველად შარშან რომ გათამაშდა და მაშინაც „ფითსის" კერძი შეიქნა

როიტერი დანიდინიდან

## სამეულის სერიალი

V შაბათი

16. 08. დანიდინი. ქარისბრუქ პარკი. 42 ათასი მოსეირე

### ახ. ზელანდია 36:24 ავსტრალია

(36:0). მსაჯი უოელ დიუმე (საფრანგეთი)

ოლ ბლექსი (ახალი ზელანდია; მ მანავატუ, ო ოთაგო, ჩნ ჩრდ. ნავსაყუდელი, ვ ველინგთონი, ქ ქენთებრი, თ თარანაქი, მიუნიშნებლად ოქლენდი): ქრისტიან ქალენი მ; ჯეფ ვილსონი ო, ფრენკ ბანსი ჩნ, ალამა იერემაია ვ, გლენ ოზბორნი ჩნ; კარლოს სპენსერი, ჯასტინ მარშალი ქ (ოფისა ტონუუ) — ქრეგ დაუდი, შონ ფითსპატრიქი (კაპ), ოლო ბრაუნი; იენ ჯოუნზი ჩნ (ბულ ალენი თ), რობინ ბრუქი; თეინ რენდელი ო, ჯოშ კრონფელდი ო, ზინზან ბრუქი. — ვლ: რენდელი (20), ქალენი (25), მარშალი (35); ვგ და 5ს (3, 10, 18, 24, 40): სპენსერი

ვოლაბები (ავსტრალია; ქვ ქვინზლენდი; ასუ ახალი სამხრეთი უელსი; მიუნიშნებლად კანბერა): სთივ ლარქემი; ბენ თიუნი ქვ, ჯეისონ ლითლი ქვ, ჯეიმზ პოლბექი, ჯო როფი (მიჩ პარდი); დევიდ ნოქსი, ჯორჯ გრეგანი — რიჩარდ პარი ასუ, მაიქლ ფოლი ქვ, ენდრიუ ბლეიდსი ასუ; ოუენ ფინეგანი, ჯონ ლენგფორდი (ბრეტ რობინსონი); ფილი ფინაუ ასუ, დევიდ ვილსონი (კაპ) ქვ, თროი ქოქერი. — 4ლ: როფი (42), ლარქემი (47, 69), თიუნი (77); 2გ (47, 69): ნოქსი

# აიწონა 36, დაიწონა 24

ზელანდიური სარაგბო მანქანის ჭანჭიკებიც ზე-კაცნი კი არა, ჩვეულებრივი მოკვდავნი ყოფილან. არც მათი ძალები ყოფილა ულევი და თუ საცდური მოაკლდათ, მეტისმეტი თავგამოდებით თამაში თურმე მათაც უჭირთ.

ეს ყველაფერი თვალნათლივ გამოჩნდა სამხრეთული ზამთრის ბოლო ტესტში, რომელიც ზელანდიამ წელს გამართული წინა შვიდი შეხვედრის დარად ბარაქიანად მოიგო. ახლა „ოლ ბლექსის" წევრებს წინა უქმეებზევე დაწყებულ საშინაო პირველობაში ჩაბმა მოუწევთ, ნოემბერ-დეკემბერში კი ნაკრები ისევ შეიკრიბება და მოივლის ბრიტანეთს, სადაც ორჯერ ეთამაშება ინგლისს და თითოჯერ უელსსა და ირლანდიას.

სარაგბო სამყაროს უსამხრეთეს ტესტ-სარბიელზე — „ქარისბრუქ პარკზე" თოვლი და თოში იყო მოსალოდნელი. დაზაფრული ავსტრალიელები ოთაგოს ადმინისტრაციულ ცენტრში რომ ჩავიდნენ, იქაურ კალობაზე ტროპიკული სიცხე — პლუს 7 გრადუსი დახვდათ. თოვლი არც თამაშის დღეს მოსულა, მაგრამ ისეთმა ძლიერმა ქარმა დაუბერა, რომ რაგბი ლამის იყო აიწონა-დაიწონად აქცია.

თავად განსაჯეთ: პირველ ნახევარში ზელანდია ზურგქარში თამაშობდა და 36 ქულა მოიხვეჭა. მეორე ნახევარში მასპინძლებს პირქარში რომ მოუწიათ თამაშმა, ლელო რაა, ერთი კინკილა გოლიც ველარ შემატეს მონაგარს, ქარით ფრთებშესხმულმა ავსტრალიამ კი დანაკარგი შეძლებისდაგვარად აინაზღაურა, მეტოქეზე მეტი ლელო გაიტანა და პრემიალურ ქულასაც კი გამოკრა ხელი, რაც სერიალის ბოლო შაბათს ერთობ გამოადგება. ამ დღეს ხომ „ვოლაბები" პრეტორიაში მარცხებით გამწარებულ „ქურციკებს" უნდა ეწვიონ.

პირველი ტაიმი მასპინძლებმა თითქმის უშეცდომოდ წარმართეს. თავიდან ლელოებს არ გამოკიდებიან — სამი გოლით 9-ქულიანი მარაგი შექმნეს. „ოლ ბლექსის" ახალმა 10 ნომერმა სპენსერმა ამ დღეს მართლაც რომ სასწაულად ურტყა — შესვენებამდე რვა ცდით რვა გოლი (!) გაიტანა.

ზელანდიის გოლებს შორის, რა თქმა უნდა, „ვოლაბებიც" უტევდნენ. მათ თუმც დაშავებოდათ დერეფნის კარუზო და კაპიტანი ჯონ ილზი, მაგრამ მისი ნორჩი შემცვლელი ლენგფორდიცა და ფინეგანიც ძლიან ყოჩაღობდნენ და არათუ თავისას, მეტოქის მოწოდებულ ბურთსაც ხშირად იგებდნენ. ავსტრალიაც შეიჭრა მასპინძელთა 22-ში, მაგრამ პირველად ნოქსმა ააცილა კარს იოლი საჯარიმო, მეორედ კი სტუმრები უწესობამ დაალალატა: თამაშგარე მყოფ მეტოქეს მსაჯის ნაცვლად თავად მიხედეს და დაჯარიმდნენ.

მესამე გოლის შემდეგ „ოლ ბლექსმა" ტრადიციულად ეშხიანად გარდატეხა თამაში: საწყისი დარტყმიდანვე იერემაიამ თავისი ნახევრიდან მოაწყო გარღვევა და ლამის იყო ლელოს უწია. იქ ორი ბექის გავლით ბურთი ბებერ ბანსს მიუვიდა, მაგრამ ლელოში შეჭრილ შუაზმარბს მეტოქე ქვეშ დაუწვა და ბურთი არ დაამიწებინა. და მაინც, შერკინებიდან ზინზანმა და მარშალმა ელემენტარული კომბინაცია გაითამაშეს, რაც ოთაგოელი ბიჭის — რენდელის ლელოთი დასრულდა 16:0. სხვათა შორის, ზინზანის ნაცვლად სწორედ ეს მაორი დირიჟორობდა თამაშის წინ მეტოქის დანავსვას, ზელანდიურად „ჰაკა" რომ ქვია.

მერე აიწყვიტა მცველმა ქალენმა. 22-ე წუთზე იგი ისე გაქანდა, რომ მეტოქის მორკინალები სამგზის წაებოტინენ და კისერში ჩავლებითღა დაცეს. ანგარიში 19:0 გახდა. „ვოლაბებმა" ცენტრიდან განაახლეს თამაში და ახლა ზინზანმა გრძელი პასით თავისი 22-დან ისევ ქალენი გააქცუნა, ამან კი მიმართულების ვითომდაც ცვლით მეტოქეებს თავგზა აუბნია და მათიანად ლელოში შევარდა 26:0. ეს ყველაფერი ოთხ წუთში მოხდა.

| | თ | მ | ნ | ფ | + | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზელანდია | 4 | 4 | 0 | 0 | 2 | 159:109 | 17-13 | 18 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 2 | 0 | 2 | 74: 89 | 10- 9 | 6 |
| აფრიკა | 3 | 0 | 3 | 0 | 2 | 87:122 | 10-15 | 2 |

ქულები: მოგება 4, ნაგება 0, ფრე 2; არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანაც მეოთხე ლელოს გატანა — თითო დამატებითი ქულა („+" გრაფა)

ავსტრალიამ ისევ ცადა აქეთ-იქეთ ბურთაობა. გუნდი ბურთს კარგად ინარჩუნებდა და გრეგანიცა და ნოქსიც მალულ პასებს ხშირ-ხშირად აკეთებდნენ, მაგრამ ბექები წინ ვერ მიიწევდნენ. მეტიც, ერთხელ თიუნი ზელანდიელებმა ხელში აიტატეს და მოისროლეს, ტაიმი კი ისევ სტუმართა რბევით დასრულდა: მარშალი რაქიდან აღებული ბურთით ლელოსკენ გაძვრა, ფითსპატრიქს კი ხელში აუთამაშდა ბურთი. შერკინებიდან მარშალმა მე-9 ტესტ-ლელო კიდევ გაიტანა, ბოლო წუთზე კი სპენსერმა მეხუთე საჯარიმოც შეაგდო.

ანგარიში 36:0 იყო. ამხელა სხვაობით ავსტრალია არასოდეს ჩამორჩენია მეტოქეს. შესვენებაზე გუნდში ულაპარაკიათ, არიქა, თავი გვეჭრებაო და „ვოლაბებიც" მეორე ნახევარში მოედანს გახელებული დაბრუნებიან. ამ დროს რაზე უნდა ემსჯელათ ზელანდიელებს, გაუგებარია. ფაქტი კი ისაა, რომ შესვენების შემდეგ თავს ძალა ველარ დაატანეს და მეორე ტაიმი მათაც უმაგალითო ანგარიშით — 0:24 წააგეს.

ავსტრალიამ უმალ გაიტანა ორი ლელო. 49-ე წუთზე მესამესაც მიაყოლებდა — ქალენმა და ოზბორნმა ერთმანეთს ვერ გაუგეს და თავიანთ ლელოში შეაგდეს ბურთი. მერე ავსტრალიელ მორკინალთა მიძალება მორიგი ბურთის კარგვით დასრულდა, ნოქსმა კი [illegible] ალმართ[illegible] ცვლა მეტი მოუვიდა, თანამსაჯმა აუყვირდა და თავად [illegible].

ამის მერე ზელანდიამ შეტევა ცადა. 59-ე წუთზე სპენსერმა 35 მეტრიდან გააფუჭა საჯარიმო. ამ დროისთვის თამაში უკვე საკმაოდ წამხდარი იყო. როგორც ნამატჩევს ბრძანა „ოლ ბლექსის" მოძღვარმა ჯონ ჰართმა, ფრანგ მსაჯს მეტისმეტი მოუვიდა — 80 წუთში 38 დარღვევა აღნუსხაო. არადა, რაგბის ხარისხზე აუგი მაინც არ ითქმოდა.

ბოლო ათ წუთში „ვოლაბებმა" დიდი შტურმი გამართეს. ლარქემმა ისევ შეარცხვინა ზელანდია: თუ პირველი ლელოს გატანისას მათი შერკინება თავდახრილმა გაიარა, მეორედ თიუნის მიერ ლელოსკენ გაგორებულ ბურთს მიუსწრო. მერე იყო და ნოქსმა ფრიადი განდაგან ბურთაობა გააჩაღა, რისთვისაც ზინზანმა გამომწვევად აბგერა იდაყვი. „ვოლაბთა" იერიში გრძელდებოდა, ბებერი კანბერელი პივოტი კი ძირს ეგდო. საქმეში ბოლოს თანამსაჯი ჩაერია და დიუმემაც ზინზანს ყვითელი ბარათი უჩვენა, თუმც კი სინ-ბინს — დროებით გაძევებას ნაღდად იმსახურებდა.

ნოქსი წამოდგა და ვითომც არაფერიაო, საქმიანობა გააგრძელა. „ვოლაბებმა" სამი საჯარიმო გაათამაშეს და ბოლო ცდით მასიური მოლის შემდეგ მარცხნივ იმხელა უპირატესობა მიიღეს, რომ ნოქსმა თიუნი ლელოში შეაგრიალა, თუმც კი თავად გარდასახვა ისევ ვერ გაიტანა.

ლუკა ჯორჯიაშვილი

# მოტოციკლი

## ზედიზედ მეოთხედ

ავსტრალიელმა მოტოციკლისტმა მიკი დუენმა კვირას გაიმარჯვა ბრიტანეთის დიდ პრიზზეც და „500" კლასში ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა. თუმც პირველობის დამთავრებამდე ჯერ რაც ოთხი ეტაპია, „ჰონდას" დიდოსტატმა წელს გამართული 11 შეჯიბრიდან ათი (!) მოიგო და მეტოქეებს იმდენად გაუსწრო, რომ გინდაც აღარ იასპარეზოს, მაინც ვერავინ დაეწევა.

კვირასვე „250" კლასში გაიმარჯვა გერმანელმა რალფ ვალდმანმა (ჰონდა), „125"-ში კი იტალიელმა ვალენტინო როსიმ (აპრილია).

# ჩოგბურთი

## მონიკა მადაზე მოსულა



23 წლის სელეში ზედიზედ მეორე კვირაა ტურნირებს იგებს. არადა, წელს მანამდე ფინალებში ოთხჯერ გასულიყო და ოთხივეჯერ წაეგო.

მონიკას „დიუმორიეს" ტურნირი, სხვაგავარად კანადის ღია პირველობა რომ ქვია, ერთობ უყვარს. ორი წლის წინ ორ-წელიწად-ნახევრიანი იძულებითი შესვენების შემდეგ რომ დაუბრუნდა სარბიელს, პირველი ტიტული სწორედ კანადაში მოიხვეჭა. ჰოდა, იქ შარშანაც ითამაშა და წელსაც და ზედიზედ მესამედ გახდა ჩემპიონი.

სელეშმა 150 ათასი დოლარი მოიხვეჭა და კარიერის მე-40 ტიტულიც მიითვალა. კლასიფიკაციაშიც ჰინგისის კვალად მეორე ადგილზე აინაცვლა და ახლა აშშ-ის ღია პირველობის იმედადაა. მიაჩნია, რომ ვუნდერკინდ ჰინგისს პირველ ჩოგნობას ახალ წლამდე ველარ დააკარგვინებს, მაგრამ დიდი სლემის ტურნირის მოგების იმედი მაინცაა აქვს.

ფინალში მონიკას 28 უნებური შეცდომა მოუვიდა, ჰუბერს — 34. სელეშმა ანკე ავსტრალიის პირველობის შარშანდელ ფინალში ძლია, როცა დიდი სლემის შეჯიბრი უკანასკნელად მოიგო. ტორონტოელი ფინალისტები აშშ-ის პირველობისთვის შეამზადებულან და წყვილად აპირებენ თამაშს.

ფინალზე მეტად სელეშს ნახევარფინალში გაუჭირდა. ზედიზედ 11 მარცხის შემდეგ 25 წლის მარტინესს სამი კვირის წინ პირველად ეძლია მონიკა პალო-ალტოში (კალიფორნია), მაგრამ ამჯერად გაამერიკელებულმა ქალმა ძნელი რევანში აიღო.

ირაკლი ნინუა



### „პაილოტ-პენის" ვაჟთა პირველობა

ნიუ-ჰეივენი (კონექტიკუტი, აშშ). ხისტი. მილიონი US$

I წრე (12. 08): ბრეთ სთივენი (ახალი ზელანდია) — ჯიმ კურიე (აშშ, 10) 6:2, 6:2. II წრე (14. 08): დევიდ ვითონი (აშშ) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია, 3) 6:7 (2-7), 6:3, 6:4

III წრე (ესეც 14. 08): გრეგ რუზეცკი (ბრიტანეთი, 11) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 6) 6:3, 7:6 (7-5); პატ რაფთერი (ავსტრალია, 8) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა, 9) 6:3, 2:6, 6:4

მეოთხედფინალი (15. 08): ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 1) — თიმ ჰენმანი (ბრიტანეთი, 7) 5:7, 6:3, 6:4; რაფთერი (8) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი, 2) 7:5, 2:6, 6:2; რუზეცკი (11) — რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია, 4) 7:6 (7-5), 3:6, 6:3; პეტრ კორდა (ჩეხეთი, 5) — ვითონი 4:6, 7:6 (9-7), 6:4

ნახევარფინალი (16. 08): კაფელნიკოვი — კორდა 6:4, 7:6 (7-4); რაფთერი — რუზეცკი 7:5, 4:6, 6:3

ფინალი (17. 08): კაფელნიკოვი — რაფთერი 7:6 (7-4), 6:4

## ჯიუტი ევგენი

სოჭელ ჟენიას იმდენივე ფული ერგო, რაც სელეშს. მან კარიერის მე-13 ტიტული მოიხვეჭა, კლასიფიკაციაში კი გუშინდლიდან ისევ მესამეა, რაც მისი საუკეთესო მიღწევის გამეორებაა.

ტურნირის სტარტზე წვიმდა, ბოლოს კი საშინლად დაცხა. კაფელნიკოვი ინდიანაპოლისში 1992 წლიდან სისტემატურად სტუმრობს და ერთგულებაც დაუფასდა, რაფთერმა კი წელს მეოთხე ფინალი წააგო, თუმც კი ნახევარფინალში ფრიადი მეეისე რუზეცკი გააგდო, ვინაც ფილიპუსისის კვალად მეორე კაცი შეიქნა, ვინაც ბურთი 225 კმ-სთ-ზე უსწრაფესად გატყორცნა.

რაფთერი გუშინდლიდან მსოფლიოს მე-14 ჩოგანია, ფილიპუსისი — მე-15. ავსტრალიელებში უფროს-უმცროსობა შეიცვალა.

## დუბლი ვერ გამოუვიდა

აგასიმ სამი წრე კი გაიარა, მაგრამ მერე 31 წლის ადელაიდელ ვეტერან ვუდფორდს ველარაფერი მოუხერხა. სამპრასის მჯობნი ლარსონი „არ-სი-აის" 1994 წლის ჩემპიონმა ფერერამ გააგდო, მაგრამ „ვუდის" დარად ისე დაიქანცა, რომ ნახევარფინალი უბრძოლველად წააგო.

ბიორკმანს გასამრჯელო სელეშისა და კაფელნიკოვის ტოლა ერგო. ფინალის II ხელში მოიამ ბრეიქი რომ გახერხა, შვედის იღბლად გაწვიმდა. იონასმა ერთი მოგება არ იკმარა და თანამემამულე ნიკლას კულტის მხარდამხარ წყვილთა ფინალშიც შეება მიქაელ თილსტრომს (შვედეთი) და მაიქლ თებოთს (ავსტრალია), მაგრამ დამარცხდა 3:6, 2:6.

### „არ-სი-ეის" ვაჟთა პირველობა

ინდიანაპოლისი (აშშ). ხისტი საფარი. საპრიზო ფონდი — მილიონი US$

მეოთხედფინალი (15. 08): კარლოს მოია (ესპანეთი, 5) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:3, 7:5; იონას ბიორკმანი (შვედეთი, 9) — თომი ჰოუ (აშშ) 5:7, 6:4, 7:5; ვეინ ფერერა (სამხრეთი აფრიკა, 10) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი, 16) 3:6, 6:3, 7:6 (12-10); მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) — ანდრე აგასი (აშშ, 14) 6:3, 5:7, 6:3

ნახევარფინალი (16. 08): ბიორკმანი — ვუდფორდი 6:2, 6:0; მოია — ფერერა 6:4, 6:2

ფინალი (17. 08): ბიორკმანი — მოია 6:3, 7:6 (7-3)

### „დიუმორიეს" ქალთა პირველობა

ტორონტო (ონტარიო, კანადა). ხისტი. 925 ათასი US$

I წრე (12. 08): მიჰო საეკი (იაპონია) — ირინა სპირლეა (რუმინეთი, 9) 4:6, 6:3, 6:2; ნაოკო სავამაცუ (იაპონია) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:1, 6:4

II წრე: (13. 08) სავამაცუ — ივა მაიოლი (ხორვატია, 2) 7:5, 6:7 (5-7), 6:1; ქიმბერლი პო (აშშ, 11) — ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) 6:3, 6:2

III წრე: (13. 08) მონიკა სელეში (აშშ, 1) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:3, 7:5. (14. 08): მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ, 10) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 5) 6:4, 6:3; რიტა გრანდე (იტალია) — მარი პირსი (საფრანგეთი, 6) 6:2, 6:2; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 7) — იაიუკ ბაზუკი (ინდონეზია) 6:1, 6:4; მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) — სავამაცუ 7:5, 6:4

მეოთხედფინალი (15. 08): სელეში (1) — გრანდე 6:0, 6:0 (42 წუთში); ანკე ჰუბერი (გერმანია, 5) — ამანდა კუტცერი (სამხრეთი აფრიკა, 3) 2:6, 6:1, 6:4; მარტინესი (7) — ლინდზი დავენპორტი (აშშ, 4) 6:4, 4:6, 6:2; ფერნანდესი (10) — მალეევა 6:2, 6:7 (3-7), 6:4

ნახევარფინალი (16. 08): სელეში — მარტინესი 6:2, 7:6 (8-6); ჰუბერი — ფერნანდესი 3:6, 6:2, უარი მარჯვენა მაჯის ანთების გამო

ფინალი (17. 08): სელეში — ჰუბერი 6:2, 6:4

პროფესიული საკალათბურთო კლუბი „ვითა" სამძიმარს უცხადებს კლუბის პრეზიდენტ თუმურ დათიკაშვილს დედის

მერი დათიკაშვილის

გარდაცვალების გამო


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29